გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# საერთო გაზეთი

№15 (520) • 24 აპრილი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის





2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და დაამარცხა „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი, ამით დაიწყო 90-იან წლებში შეწყვეტილი ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. ამიტომაც დავარქვით ამ რუბრიკას „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“

## „მფატრავი სანდრა“ სხვა რაკურსით



სპეცსამსახურების მიერ გაწვრთნილი ჯაშუში და „მეორე ნახევრების“ მოსამზადებელი კურსებგამოვლილი ქალბატონი, რომელიც ახლა ქვეყნის დაქცევის დაწყებას ზუგდიდიდან აპირებს

## „ნაცმოძრაობა“ - სააკაშვილის „კონცლაგერი“, ანუ არის თუ არა მურუსიძე მსხვერპლი?

იმ უზნეობის ხარისხით თუ განვსჯით, რაც შალვა შავგულიძემ ჩაიდინა, დღეს მურუსიძე მასთან შედარებით ზნეობრიობის ეტალონია

## რეზო ამაშუკელი: აჰა, აღდგომა ჭეშმარიტი

ვითარ გუნდრუკი
ფშვინავს ირგვლივ ყვავილი ვაზის,
გაფოთლილ ღერზე ფეთქავს გვრიტი
დაღლილი ფრენით...
— სისხლ-ხორცო ჩემო,
ბეჭზე გკოცნი ქართულად სამგზის!
... „დამწყსენ, აძოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“
თუმც გაურიეს მირონს შენსას
სხვა სარეველი,
მაინც შროშნებით იმოსება
დღეს ტაძრის ბჭენი!
— მოუძღვის ცისკარს
კრავით ხელში, ნაზარეველი!
...„მე ვარ ვენახი,
დაიმარხნეთ მცნებანი ჩემნი...“
მწვანე ბალახზე
ყრმაი აწყობს კვერცხებს, დაღებილს,
და თრთის სანთელი, მობიბინე
ნუგეშის მფენი...
— აღივსებიან გალობითა თლილი თაღები!
... „დამწყსენ, აძოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“
ვდიოთ მაცხოვარს;
თუკი ვამბობთ: - „ჩვენთან არს ღმერთი!“
მონანიებით გამოვიხსნათ
მომავლის დღენი.
— აჰა, აღდგომა ჭეშმარიტი,
აღდგომა მკვდრეთით!
„დამწყსენ, აძოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“
შევუდგათ ღარი სიყვარულის,
წყაროს დაწრეტილს,
გვეყოფა სხვათა საამებლად
რაც ფეხი ვბწენით.
ვაშენოთ ხვალის ბალავარი
მხოლოდ განჭვრეტით!
...„დამწყსენ, აძოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“
მიწას - ხვარბალი ხვავრიელი,
ცას - მზის ხარდანი!
გაკმაროს ბედმა ღამეები
ცრემლების მდენი!
— იყავნ მაღალი,
იყავ მრთელი,
მძლე და გამტანი!
... „დამწყსენ, აძოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“
— აჰა, აღდგომა ჭეშმარიტი!
იხარეთ,
ცხოვნდით!
მოსისხლე მტერსაც
მივაგებოთ ალერსი ხვევნით!..
და კოცნის კვირტებს უფლის ჩიტი —
— ქანაობს ტოტი...
... „მე ვარ ვენახი,
დაიმარხნეთ მცნებანი ჩემნი...“

# ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ძალიან მნიშვნელოვანი და მოულოდნელი ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას?**

— რა გითხრათ, ადვილი სათქმელი არ არის. ძალიან ბევრი გაუგებარი პროცესი მიდის. მაინც მგონია, ეს პროცესები ნელ-ნელა იმ ზღვარს უახლოვდება, როცა „ქართულ ოცნებას“ მოუწევს გადაწყვიტოს — უნდა მოიგოს არჩევნები თუ არა. ამისთვის, ძალიან ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი, რაც ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ივანიშვილმა გააჟღერა. ანუ, ახლოვდება დრო, როდესაც ეს ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

**— რა იყო თქვენთვის საყურადღებო ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში?**

— ივანიშვილმა მოსახლეობას შეგნებით თუ შეუგნებლად განუცხადა, რომ იგი მოსამართლეების პრობლემაზე პასუხისმგებელი არის. არ გამოვრიცხავ ეს, მისი მხრიდან, შეგნებული დეზინფორმაცია იყოს, რათა სხვა ნაბიჯები უკეთ მომზადდეს, ცვლილებებმა რაღაც მოვლენებს წინ არ გაუსწროს და ა.შ. ასეთ მანევრს პოლიტიკაში არცთუ იშვიათად მიმართავენ. ამ დროს, ხშირად, მოულოდნელობის ეფექტი ძლიერია. ანუ, ყველასგან მოულოდნელად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილიც სწორედ ასეთი მოულოდნელი ნაბიჯისთვის ემზადება. მავანი ამბობს, რომ ამ სიის უკან ივანიშვილი დგას. ზოგმა მიიჩნია: აზრი აღარ აქვს „ქართული ოცნების“ გუნდის გაუმჯობესების მოლოდინსო და ახალგაზრდები კიდევაც წავიდნენ საკრებულოდან. თავიანთი ნაბიჯის მოტივირების დროს, ისინი აპელირებას ივანიშვილის ინტერვიუზე აკეთებდნენ. ასე, რომ ეს ინტერვიუ ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო — ივანიშვილმა, უპირველეს ყოვლისა, პრობლემა უნდა დაინახოს.

**— ამ ინტერვიუში მან ისაუბრა იდეოლოგიურ შეტევაზეც, რასაც არაერთი ტელევიზია, არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს. როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად ვნებს ეროვნულ უსაფრთხოებას?**

— ეს ხომ, ფაქტობრივად, იდეოლოგიური ომია. ის, რომ ამ პროცესმა შეიძლება ერში ძალიან მძიმე სურათი შექმნას, ისტორიიდან ამის უამრავი მაგალითი ვიცით — საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა სხვას არაფერს აკეთებდა. მაგრამ პრობლემა არის არა იმაში სახიფათოა თუ არა იდეოლოგიური მანქანა, რა თქმა უნდა, სახიფათოა, არამედ როგორ უნდა აიცილოს ადამიანმა ეს ხიფათი. ყოველ შემთხვევაში, იმ გზით რითაც, ჯერჯერობით, „ქართული ოცნება“ მიდის, ხიფათს ვერ ავიცილებთ. ამის აცილების ჭეშმარიტი, ქმედითი გზაა ის, რომ მოქალაქეები იმ ნაბიჯების რეალობაში დარწმუნდნენ, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს. ამ რწმენამ მოიკოჭლა და სწორედ ეს არის პრობლემა. ამის შესახებ კარგად იცის ივანიშვილმა. მან კიდეც თქვა: ვიცი რომ ბევრი რამ შესაცვლელია, ბევრ საკითხში იმედი ვერ გაგიმართლეთ, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდებაო. აი, ეს იმედი უნდა არსებობდეს. ზუსტად იმედი გახლავთ არასწორი პროპაგანდის ყველაზე კარგი ჩამხშობი.

**— დღეს, იმედი გამქრალია?**

— იმედი გამქრალი, ჩამქრალი რომ არ იყოს, მაშინ „ქართულ ოცნებას“ არც მხარდამჭერების პრობლემა ექნებოდა, რაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს კარგად გამოჩნდა. ბევრი რამ გადასახედია. ხელისუფლებას თუ სურს იდეოლოგიურ ბრძოლაში გაიმარჯვოს, ქვეყანას უნდა მიხედოს. მაგრამ არის კიდევ პროფესიული საკითხები: როგორც წესი, ხელისუფლების წინაშე დგას ერთი და იგივე პრობლემა. კერძოდ, არსებობს პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც ამახინჯებს იმ რეალობას რაშიც ვართ, ხომ. თუ არსებობს ასეთი პროპაგანდისტული მანქანა, ეს იმის ნიშანია, რომ არ არსებობს შესაბამისი კონტრპროპაგანდისტული მანქანა. ანუ, ივანიშვილის გუნდის პიარი კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ეს უკვე პროფესიული პრობლემაა. თუ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს რაც გასაკეთებელია და არ ჩანს, ეს ნიშნავს, რომ პიარის პრობლემაა. ამას სერიოზული მიხედვა სჭირდება.

**— როგორ მოიქცეს, ამ სიტუაციაში, საზოგადოება?**

— უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებამ მმართველ გუნდს ილუზიებში ყოფნის საშუალება არ უნდა მისცეს, რისგანაც, როგორც ჩანს, ეს გუნდი დაზღვეული არ არის. ივანიშვილის გულშემატკივრებისგან და ასეთი ძალიან ბევრია, ხშირად გაისმის — როგორც ჩანს ივანიშვილმა ბევრი რამ არ იცის, საქმის კურსში არ არისო. არ არის გამორიცხული ასეც იყოს, მაგრამ ეს ისევ პიარის თემაა. თუმცა პოლიტიკოსისთვის საქმის კურსში არ ყოფნა გამართლებული არ არის. შესაძლოა არც მოსახლეობაა მეტისმეტად მონდომებული და არ ამბობს თავის სათქმელს ან ხაზგასმით, მმართველი გუნდი დაყრუებულია. ჩვენ, შეჩვეული არ ვართ, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებში ხშირად გვინახავს ამა თუ იმ მარტივ საკითხებზე გამართული დემონსტრაციები, ხომ. რისთვის ეწყობა ეს დემონსტრაციები? მათი ეფექტურობა, წესით, ძალიან მაღალი არ უნდა იყოს. ისინი არ ამტვრევენ არაფერს, ცეცხლს არ უკიდებენ შენობებს და ა.შ. მათი ძირითადი მიზანი სწორედ ის არის, რომ ხელისუფლებას ილუზიები არ შეექმნას და იცოდეს: რა მოთხოვნები აქვს მოსახლეობას. ასეთი ილუზიების არშექმნის მცდელობა, თავისთავად, საშურია. ამ ხერხს, ჩვენ, იშვიათად მივმართავთ. თუ ქუჩაში გამოვედით ყველაფერს ვანგრევთ და თუ არ გამოვედით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არაფერი გვაწუხებს.



**— საინტერესოა როგორ აფასებთ, რაც დღეს „რუსთავი-2“-ის ეთერში ხდება. მსოფლიოს არცერთ ტელევიზიაში, ხელმძღვანელი პირისგან, მსგავსი უწმაწური გინება არ მსმენია. ისიც, საკვირველია 800 ათასი ადამიანი როგორ არის „ნაცების“ ამომრჩეველი? ეს უმადურობა ხომ არ არის?**

— უმადურობას ვერ დავიჩივლებ იმიტომ, რომ პოლიტიკას მადლიერება არ სჩვევია. ჩერჩილმა მეორე მსოფლიო ომი მოიგო, ინგლისელმა ამომრჩეველმა კი იგი მაინც დაიწუნა და სახლში გაუშვა. ჩერჩილმა ამხელა ომი, ფაქტობრივად, ფაშისტურ მანქანასთან ბრძოლა მარტომ დაიწყო და საბოლოოდ, გაიმარჯვა, მაგრამ ეს ინგლისელმა ამომრჩეველმა არ დაუფასა. პოლიტიკისთვის მადლიერება დამახასიათებელი არ არის. პოლიტიკა პრაგმატულია და ამომრჩეველიც ასე ხელმძღვანელობს — რაც და ვინც აწყობს, იმას ირჩევს. პრობლემა არის ხოლმე შემდეგის გარკვევა: რატომ აქცევს ამომრჩეველი პოლიტიკოსს ზურგს. ამის გარკვევა შრომას მოითხოვს. სამწუხაროდ, არ არის განცდა, რომ ივანიშვილის გუნდი ამ საკითხზე მუშაობს.

**— თქვენ ფსიქოლოგი ბრძანდებით და საინტერესოა რა ახსნას მოუძებნით იმ ისტერიულ ლანძღვა-გინებას, ბილწსიტყვაობას, რაც უხვად გაისმის ტელეეკრანებიდან, სოციალურ ქსელში. გვარამიამ ტაბუ ახსნა საზოგადოდ გინებას თუ რა ხდება?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, მგონია, რომ ამ ლანძღვა-გინებას ცოტა ზედმეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. თუმცა, საზოგადოების ჯანმრთელობისთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. პოლიტიკური თვალსაზრისით, მოსახლეობა მიხვდება ამ გინებას თუ არა, შეიძლება პირუკუ შედეგი იყოს. გამორიცხული სულაც არ არის გინების ავტორებმა თავიანთი ქცევით, ამ სტილით უფრო მეტი დაკარგონ, ვიდრე მოიგონ. არაერთხელ ვნახეთ, რომ პარლამენტში პოლიტიკოსების აგრესიული სტილი მოქალაქეებისთვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ პარლამენტარებმა ეს გაითვალისწინეს და მუშტი-კრივმა მეტ-ნაკლებად იკლო. პოლიტიკოსებმა დაინახეს, რომ ეს ქმედება მოსახლეობისთვის მოსაწონი არ არის. ვფიქრობ, გვარამიას გინებაც არ არის ქართველი ამომრჩევლისთვის მოსაწონი. პირველი ვინც ამით ქულებს კარგავს, ეს გვარამიაა. უბრალოდ, მან, სხვაგვარად ურთიერთობა არ იცის.

**— ახლოვდება მაისის შუალედური არჩევნები, რას ელით და რა გავლენა ექნება ყოველივეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე?**

— ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნებია სწორედ იმით, რაც ბრძანეთ — გავლენით 2020 წელზე. თუკი ამომრჩეველი დაინახავს, რომ „ქართული ოცნება“ მარცხდება, იგი საწინააღმდეგო ბანაკში გადალაგდება, რაც 2020 წელს მმართველ გუნდს ცუდ შედეგს მოუტანს. ამიტომ, ახლა „ქართული ოცნებისთვის“ მარცხი ძალიან დიდი დანაკარგი იქნება. ამ მარცხს აიცილებენ თუ არა, ეს დამოკიდებულია როგორ იმუშავებს მმართველი პარტია. ზემოთ ვისაუბრე იმაზე, რომ რიგ შემთხვევაში შეცდომები იკვეთება საზოგადოებასთან ურთიერთობებში. ასეთი ქრესტომათიული ჭეშმარიტება არსებობს: მთავარი არ არის ილაპარაკო, არამედ მთავარია ადამიანს შენი მოსმენა უნდოდეს, აინტერესებდეს. შეიძლება მედია-საშუალება სულ არ გქონდეს, მაგრამ მიზანს მიაღწიო. ზვიად გამსახურდიას დროს ტელევიზიას საბჭოთა მანქანა აკონტროლებდა, მაგრამ ხალხი ინფორმაციას ხეებზე გაკრული პროკლამაციებით და მიტინგებით იღებდა. დიახ, მოსახლეობა ამ ინფორმაციას იღებდა იმიტომ, რომ აინტერესებდა. თუ საინტერესოს იტყვი, ინფორმაციის მოპოვების პრობლემა არ დგას. თუ იმას იტყვი რაც მიუღებელია, რამდენი დინამიკიც არ უნდა ჩართო, ამომრჩევლის ყურამდე მაინც ვერ მიაღწევ. ხშირად, ამას არ ითვალისწინებს ის ხალხი ვინც მმართველი გუნდის, ივანიშვილის პიარს წარმართავს. შედეგიც შესაბამისია. ვურჩევ, ამაზე დაფიქრდნენ.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ნაცმოძრაობა“ – სააკაშვილის „კონცლაგერი“, ანუ არის თუ არა მურუსიძე მსხვერპლი?

## იმ უზნეობის ხარისხით თუ განვსჯით, რაც შალვა შავგულიძემ ჩაიდინა, დღეს მურუსიძე მასთან შედარებით ზნეობრიობის ეტალონია




მურუსიძე მსხვერპლიაო, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა და მას შემდეგ ეს ფრაზა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

— როგორ თუ მურუსიძე მსხვერპლიაო? როგორ თქვა ეს ბიძინა ივანიშვილმა? როგორ იკადრა ეს, ჯალათის მხარეს როგორ დადგაო, — ისეთი გნიასი და აყალმაყალია ატეხილი ჩვენს ღრმად პროვინციალურ და იმავე დროს ავანტიურის-



ტულ ტელემედიასა და არასამთავრობოებში, ლამის არის ირწმუნო, რომ ივანიშვილმა რაღაც დიდი მკრეხელობა ჩაიდინა.

ამ დროს, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, აბსოლუტური სიმართლეა, უბრალოდ, ამ სიმართლის დანახვა და გაგება უნდა გინდოდეს და მას დემაგოგიურად და ფარისევლურად საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის არ უნდა იყენებდე.

ბიძინა ივანიშვილს არ უთქვამს, რომ მურუსიძე უმწიკვლო და უპატიოსნესი მოსამართლეა, მურუსიძე ჩვენი დროის აზდაკიაო, — თქვა, მურუსიძე მსხვერპლიაო და იმის ნაცვლად, ამ ფრაზის ქვეტექსტს ჩაღრმავებოდნენ და ის ამოეკითხათ, რაც მის მიღმა იგულისხმებოდა, ვიღაც-ვიღაცებმა უტიფრად და ურცხვად აქციეს ის ივანიშვილის დისკრედიტაციის საგნად და საშუალებად.

დიახ, მურუსიძე მსხვერპლია, ისე როგორც მსხვერპლნი არიან დანარჩენი მოსამართლეები, რომლებსაც შეიძლება არანაკლებ დიდი ცოდვები ჰქონდეთ, ვიდრე მურუსიძეს, თუმცა მათ გვარ-სახელებს არავინ ახსენებს. მაგრამ ამ გვარ-სახელების სხსნება რა საჭიროა, როცა ვიცით, რომ სააკაშვილის დროს მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენების 98 პროცენტი გამამტყუნებელი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს მოსამართლე იგივე იყო, რაც მურუსიძე.

25 ათასი პატიმარი, 300 000 პრობაციონერი — ადამიანთა ამ უზარმაზარ მასას განაჩენი მხოლოდ ერთმა მურუსიძემ გამოუტანა?

მიკვირს, ძალიან მიკვირს, როცა ვიღაცები აცხადებენ, რომ მათ ჰყავთ უმწიკვლო რეპუტაციის, უცოდველი, პატიოსანზე პატიოსანი მოსამართლეების მთელი გუნდი, რომლითაც აპირებენ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას, მაგრამ ხელისუფლება ამაში ხელს უშლით.

კი, მაგრამ, საიდან მოგყავთ თქვენ ასეთი მოსამართლეები, როცა სააკაშვილის სისტემამ ყველა გასვარა, ყველა დანაშაულის თანამონაწილედ გაიხადა?

არა მარტო მოსამართლეების, არამედ „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურმა რეჟიმმა იგივე მეთოდებით იმუშავა სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფი ყველა ადამიანის წინააღმდეგ.

„ნაციონალური მოძრაობა“ არა მარტო ოპონენტების, არამედ, პირველ ყოვლისა, საკუთარი მომხრეებისა და თანამებრძოლების წინააღმდეგ აგროვებდა კომპრომატებს, რომლებსაც, ხშირად, თვითონვე ქმნიდა, კრეფდა და დოსიეებად ალაგებდა მათ მამხილებელ ინფორმაციებს, აიძულებდა მიეღოთ უკანონო გადაწყვეტილებები. ჩაედინათ სხვადასხვა სახის დანაშაულობები, რომ ამით საბოლოოდ მიეჯაჭვათ ისინი სისტემასთან და იქიდან თავის დაღწევის ყოველგვარი სურვილი ჩაეკლათ მათთვის.

ნაციონალები თუ დღემდე არსებობენ, როგორც შეკრული ორგანიზაცია, ისინი სწორედ ამ დანაშაულებრივი ჯაჭვით არიან შეკრულნი და ერთმანეთზე გადაბმულნი და ამ ჯაჭვიდან თავის დახსნა მათთვის შეიძლება უკიდურესად სახიფათო და საბედისწერო გამოდგეს.

ამიტომაც არ მწამს და არ მჯერა იმ ჯგუფებისა, რომლებიც ვითომდა „ნაცმოძრაობას“ გამოეყვნენ და „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა, ისევ „ნაცმოძრაობის“ გვერდით დადგნენ.



ამიტომაც არ მწამს და არ მჯერა „ნაცმოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაცებისა, რომლებიც ისევე ვერ გაექცევიან საკუთარ ცოდვილიან წარსულს, როგორც ვერ გაექცევა ბოკერია, ბაქრაძე, ვაშაძე, მერაბიშვილი, ადეიშვილი, სხვები და სხვები სააკაშვილს.

დრო მოვა და კრიტიკულ მომენტში ისინი აუცილებლად გამოამჟღავნებენ თავიანთ ნამდვილ სახეს და „ქართულ ოცნებას“ პირველნი ჩასცემენ ზურგში მახვილს.

იმ მახინჯ, სასტიკ და არაადამიანურ სისტემას, რომელზეც იდგა „ნაცმოძრაობა“, ბევრნი ქმნიდნენ, მაგრამ ავტორი და მთავარი შემოქმედი ამ სისტემისა მაინც მიხეილ სააკაშვილია, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იმ კარგად აწყობილი რეპრესიული მანქანის გამართვას, რომელიც მწყობრად და სინქრონულად მუშაობდა ყველა მიმართულებით, სააკაშვილის გონებრივი შესაძლებლობები ნამდვილად არ ეყოფოდა.



უდავოა, რომ სააკაშვილს ჰყავდა გამოცდილი მრჩევლები და ინსტრუქტორები (უფრო სავარაუდოა, უცხოელი სპეციალისტები), რომლებმაც ეს სასტიკი რეპრესიული მანქანაააწყვეს, აამუშავეს, საჭესთან სააკაშვილი დასვეს და ქართველი ხალხისკენ მიუშვეს.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, „ნაცმოძრაობის“ რეპრესიულ რეჟიმს უეჭველად ჰყავდა გარედან მოწვეული კონსტრუქტორები, ამ რეჟიმის საავტორო უფლება მაინც მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის.

სწორედ მან, მიხეილ სააკაშვილმა, ჩაითრია ათასობით და ათიათასობით ადამიანი ამ კრიმინალურ-ბანდიტურ ქსელში და ბევრი მათგანი მკვლელად, ბოროტმოქმედად, დამნაშავედ აქცია.

სააკაშვილმა თავის მოწინააღმდეგეებზე და ოპონენტებზე უფრო მეტი ზიანი სინამდვილეში თავის მომხრეებს და თანამებრძოლებს მიაყენა და მათ სულს, მათ ცხოვრებას სამუდამო დაღი დაასვა — დაღი სატანისა.

რომ არა სააკაშვილი, ბევრი მათგანი, ვინც დღეს უმძიმესი დანაშაულების გამო ციხეში ზის ან ქვეყნიდან არის გაქცეული და მართლმსაჯულებას ემალება, ჩვეულებრივი, ნორმალური, კანონმორჩილი მოქალაქეები იქნებოდნენ.

მე შემხვედრია ადამიანი, რომელიც იმ დროს, როცა ჩვენი საუბარი შედგა, სააკაშვილის ხელისუფლებაში თვითონაც საკმაოდ მაღალ პოსტს იკავებდა, ხოლო მისიშვილები ასევე ძალიან მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ და სააკაშვილის საყრდენ ზალად ითვლებოდნენ.

— სააკაშვილმა მე შვილები წამართვა და დამიღუპა, — მითხრა მან.

მისი ნაამბობიდან ადვილად დაასკვნიდი, რომ ისიც და მისი შვილები, ფაქტობრივად, სააკაშვილის მძევლები იყვნენ.

მისი ერთი შვილი დღეს ციხეშია, მეორე ქვეყნიდან არის გაქცეული.

ჩემი აზრით, ის დღესაც მძევალია იმ სისტემისა, რომელმაც მას, ფაქტობრივად, ოჯახი გაუნადგურა.

არა მარტო ამ ადამიანს, სააკაშვილმა ძალიან ბევრს წაართვა შვილი, ძმა, და, დედა, მამა, წაართვა და თავისი ძალაუფლების კონცლაგერში გამოამწყვდია, საიდანაც მხოლოდ ერთეულებმა თუ შეძლეს თავის დაღწევა.

ამიტომაც აბსოლუტურად მართალია ბიძინა ივანიშვილი, როცა ამბობს, რომ მურუსიძე მსხვერპლია.

მისი „დანაშაული“ ის არის, რომ მან ბოლომდე არ გაშიფრა, თუ რას გულისხმობდა ამ შეფასებაში და ესეც, ალბათ, იმიტომ გააკეთა, რომ, ეგონა, საზოგადოება გაშიფვრისა და ახსნა-განმარტების გარეშეც მიუხვდებოდა ნათქვამს.

მურუსიძე და სხვა მურუსიძეები კი არა, სულო ცოდვილო და ხანდახან მგონია, რომ თვით მერაბიშვილიც კი მსხვერპლია — რომ არა სააკაშვილი, ისიც შეიძლებოდა თავის მშობლიურ უდეს დაბრუნებოდა და ერთი კარგი და წესიერი აგრონომი ყოფილიყო.

ერთადერთი, ვისაც სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის მსხვერპლად ვერა და ვერ აღვიქვამ, გიგა ბოკერიაა, რომელიც თავად არის ამ რეჟიმის მთავარი იდეოლოგი, მისი ხერხემალი.

გიგა ბოკერია — „ნაცმოძრაობის“ გებელსი, გიგა ბოკერია — სააკაშვილზე დიდი სააკაშვილი, რომელსაც ბოლო დროს ძმობის და მეგობრობის ფიც-ვერცხლით შეეკრა შალვა შავგულიძე.

— ეს როგორ, გირგვლიანის ჯალათი მურუსიძე მსხვერპლია, გირგვლიანის ადვოკატი და დამცველი შალვა შავგულიძე — დამნაშავე? — მიამიტურად კითხულობენ ცნობილი თუ უცნობი დემაგოგები და ასე ჰგონიათ, ჩამჭრელი კითხვა დასვეს.

პირდაპირ ვიტყვი: შალვა შავგულიძემ, მის მიერ ბოლო დროს გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯებით, მის მიერ გაკეთებული განცხადებებით, რომლებშიც მან თავი ბოკერიას თანამოაზრედ გამოაცხადა, ყველაფერს გადაუსვა ხაზი, რაც აქამდე უკეთებია და თვითონვე დაანგრია წლების განმავლობაში მისხალ-მისხალ მოპოვებული რეპუტაცია, ავტორიტეტი, პატივისცემა საზოგადოების მხრიდან.

წესიერი და პატიოსანი ადამიანები ასე არ იქცევიან...

სხვისმა დამცველმა შალვა შავგულიძემ საკუთარი თავი ვერ დაიცვა იმ მეორე შალვა შავგულიძისგან, რომელიც, როგორც ჩანს, მასში ჩუმად და მალულად ცხოვრობდა და რომელმაც, ფაქტობრივად, გაანადგურა და გააცამტვერა იგი.

მისი ამ ნაბიჯის შემდეგ მურუსიძე შავგულიძესთან შედარებით ზნეობრიობის ეტალონია.

...ამასწინათ „რუსთავი-2“-ზე



ვანო ჯავახიშვილის ფეხებთან გაკოტრიალებული ზვიად კვაჭანტირაძე ვნახე...

მანამდე სხვა ყოფილ „ოცნებელს“ წავასწარი გიორგი გაბუნიასთან „ინტიმურ“ ჭუკჭუკში...

რა სჭირთ ამ ადამიანებს, ასე ელვისებურად რატომ კარგავენ ადამიანურ სახეს, ასე ელვისებურად როგორ იცვლიან პოზიციას, ასე ელვისებურად როგორ ამბობენ უარს იმ ფასეულობებსა და ღირებულებებზე, რომლებსაც გუშინ ვითომ თავდადებით ემსახურებოდნენ?!.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# რა ეწერა გზავნილში, რომელიც საზოგადოებამ საპრეზიდენტო არჩევნებისას მმართველ გუნდს გაუგზავნა?

ძვირფასო საპარლამენტო უმრავლესობავ და სხვათა შორის, მთავრობავ!

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გავიდა ზუსტად ოთხი და კიდო ნახევარი თვე. გავიდა და გავიდეს... აი, დარდიო, – მეტყვით თქვენ, ჩაიცინებთ, ფეხს ფეხზე გადაიდებთ და განაგრძობთ „ჩატაობას“. თუმცა მე თქვენს ადგილზე ამას არ ვიზამდი, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი.

ჰოდა, იმას ვამბობდი... მას შემდეგ, რაც ქალბატონი სალომე ავირჩიეთ პრეზიდენტად... მას შემდეგ, რაც ფაქტობრივად გადავრჩით იმის წყალობით, რომ ქვეყანაში განგაშის ზარები ავაგუგუნეთ და წუპაკთა მოდგმას („ნაცმოძრაობას“) ფართომასშტაბიანი ფრონტი გავუხსენით, გავიდა ოთხი და კიდო ნახევარი თვე, მაგრამ მთელი საქართველო ცხოვრობს იმავე რეჟიმში, როგორშიც ცხოვრობდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურამდე. შეგახსენოთ თუ თვითონ გაიხსენებთ, როგორ ვცხოვრობდით? მოდით, რამდენიმე წინადადებით მაინც შეგახსენებთ: ქვეყანაში იყო წუპაკთა (ვგულისხმობ „ნაციონალებს“, ანუ ე.წ. ოპოზიციას) პარპაში და არნახული გაჯეჯილება. იყო თქვენი მომხრეების, ანუ ძველი გვარდიის, ანუ თქვენი მხარდამჭერების უკმაყოფილება, სინანული, გაორება, იმედგაცრუება და ტირილი, რომ ისინი დაივიწყეთ, ხელი ჰკარით, სამსახურებიდან დაითხოვეთ, ქუჩაში დატოვეთ, არ დაასაქმეთ, ფურთხის ღირსადაც კი არ ჩათვალეთ. სამაგიეროდ, ყველგან, ყველა სამთავრობო სტრუქტურაში „ნაციონალებს“ ბუზსაც ვერავინ უფრენს. მეტიც, ადამიანები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებისა და მანამდელი ყველა არჩევნების პერიოდში „ქართული ოცნების“ მომხრეებს მაგიდაზე მუშტებს უბრაგუნებდნენ, ხმა გრიგოლ ვაშაძეს და „ნაცმოძრაობას“ მიეცით, თორემ ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ციხეში დაგალპობთო, ისევ დარჩნენ თანამდებობებზე, სახელმწიფო სამსახურებში და კვლავაც განაგრძობენ მავნებლობას. თქვენ ზეპირსიტყვიერად, ტელევიზორში გამოსვლებისას თითქოს მართლაც ებრძვით „ნაციონალებს“, აკრიტიკებთ, პერიოდულად ლანძღავთ კიდეც, წარსულსაც ხშირადახსენებთ, ამტკიცებთ, რომ ისინი დამნაშავეები არიან, წინა რეჟიმიც დამნაშავე იყო, მაგრამ რეალურად ისევ ამ რეჟიმის მავნე ნარჩენებს აწინაურებთ და საპასუხისმგებლო საქმეებს აბარებთ!

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, როცა კინაღამ „კაგებეშნიკი“ გრიგოლ ვაშაძე გაძვრა, თქვენ სიმაღლის მიხედვით გამოდიოდით და სახეზე ღიმილშემშრალნი ამბობდით, საზოგადოების გზავნილი მიღებულია, აწი ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ და როგორც მოვიქცევითო. მე არ ვიცი, რა წაიკითხეთ იმ გზავნილში, ან საერთოდ წაიკითხეთ თუ არა, მაგრამ მეგონა, მართლა შეიცვლებოდა ბევრი რამ და ასევე შეიცვლებოდა თქვენი მიდგომები მრავალი საკითხის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, მხარდამჭერებისა და ერთგული ხალხის მიმართ მაინც. თუმცა მოვლენები განვითარდა ისე, რასაც თითქმის არავინ ელოდა, მათ შორის, არც მე. ჯერ წინა პლანზე წამოსწიეთ ოდიოზური მოსამართლეების თემა და ამან გამოიწვია „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატების გასვლა. დამიჯერეთ, იმ გზავნილში, რომელიც საზოგადოებისგან მიიღეთ, ეს საერთოდ არ ეწერა. სხვათა შორის, არც სიგარეტის გაძვირება ეწერა. აქ ცოტას გადავუხვევ არალირიკულად: ამას წინებზე რადიოში მოვისმინე, თუ არ ვცდები, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია იყო, თუ შარშან ამ დროს სიგარეტის აქციზიდან ბიუჯეტში 100 მილიონი ლარი შემოვიდა, წელს განახევრდა, 45 მილიონი მივიღეთო. ხომ იცით, ადამიანებმა პაპიროსის მოწევას თავი კი არ დაანებეს, უფრო დაბალხარისხიანზე გადავიდნენ, თუთუნს ყიდულობენ და ქაღალდში ტენიან. მეორე დღეს თქვენ, ბატონო აკაკი, ძვირფასო ზოიძევ, ტელევიზორში გამობრძანდით და განაცხადეთ, აქციზი თუთუნზეც უნდა გავაძვიროთო, რამდენი გავაძვირებთ, იმდენი საზოგადოება გაჯანსაღდება, მოწევას ბევრი თავს დაანებებსო.

მოდით, აქ ისევ გადმოვუხვევ: ძვირფასო ზოიძევ, ძვირფასო დეპუტატებო, მე ნამდვილად არ მინდა, 2020-ში საარჩევნო ურნებში ბიულეტენების ნაცვლად „ბიჩოკები“ დაგხვდეთ.

როდესაც ვაჟა-ფშაველა ლექსს, ან წერილს დაწერდა, მთელ ჯალაბს წამოჰყრიდა, სიმაღლის მიხედვით დააყენებდა, წაუკითხავდა და მერე ჰკითხავდა:

- რას იტყვით, გამადგებისა?

- გამადგებისა, ვაჟავ, გამადგებისა, – მიუგებდნენ ოჯახის წევრები.

ამის შემდეგ კმაყოფილი რაზიკაშვილი ჩაალაგებდა ქაღალდებს ხურჯინში, მოიკიდებდა მხარზე და ჩამოვიდოდა თბილისში ილია ჭავჭავაძესთან. თუ ჯალაბი ეტყოდა – არ გამადგებისა, ვაჟავო, სანამ ხეირიან რამეს არ დაწერდა, არ ჩამოდიოდა.

ძვირფასებო, ვაჟასგან მაინც ისწავლეთ... როდესაც რამეს ჩაიფიქრებთ, ან კანონ-პროექტს დაწერთ, ან ვინმეს დაწინაურებას გადაწყვეტთ, გამოდით და ხალხს ჰკითხეთ: გამადგებისა? თუ გეტყვიან, გამადგებისაო, ძალიანაც კარგი, თუ გეტყვიან, არ გამადგებისაო, შეეშვით, რა, რას ძალაობთ, რას აყაყანებთ მთელ ქვეყანას?

ბოლო დროს „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები ისტერიკაში არიან, საქართველო საერთაშორისო რადარებიდან გამქრალიაო. საქართველო საერთაშორისო რადარებიდან კი არ გაქრა, პირიქით, აკაშკაშდა და ისე დაიწყო ციმციმი, ევროკავშირმა დახმარებაც კი გვთხოვა, თუ ღმერთი გწამთ, დეიდებო და ბიძიებო, წელიწადში ნახევარი მილიონი ევრო გადმოგვირიცხეთ, თორემ შიმშილით გაგვძვრება სულიო. ხუმრობა იქით იყოს, ეს სულ სხვა თემაა, ამაზე ჩვენი გენიოსი ექსპერტები იმსჯელებენ და დაადგენენ, რას მოგვიტანს „ხარკის“ გადახდა. მე უბრალოდ იმას ვჩივი, ძალიანაც ნუ გაგიტაცებთ საერთაშორისოებთან შეხვედრები და ტაშის ცემა, თქვენ რომ ქართველმა ხალხმა გზავნილი გაახლათ თავის უსტარ-დამღით, იქ გარკვევით ეწერა: „მოგვხედეთ“! კი, ბატონო, კარგია საერთაშორისოებთან ურთიერთობა და სიამტკბილობა, მაგრამ 2020 წლის შემოდგომაზე ყველანი განზე გადგებიან და გამოაცხადებენ, მოვლენებს დიდი ყურადღებით ვაკვირდებითო. ეს ის დრო იქნება, როცა ხალხთან პირისპირ აღმოჩნდებით და ცრუ, მავნე თუ პატიოსანი შეგახსენებთ, რომ დაგვპირდით, სად იყავითო?

გთხოვთ, ნუ გაალიზიანებთ ხალხს დაუფიქრებელი ნაბიჯებით. შეიძლება ზოგიერთი გადაწყვეტილება საჭიროა, მაგრამ აშკარად ვგრძნობ, ამავე დროს საჭიროა სირბილე. მაგალითად, თუ მაინც და მაინც აუცილებელია ტაქსების გადაღებვა თეთრად, მაშინ ისე მაინც უნდა მივიტანოთ ინფორმაცია ტაქსისტებამდე, რომ ფურთხვალანძღვა არ დაიწყონ.

საქართველოში მისახედია სამედიცინო სფერო და ფარმაცევტული ბაზარი. ნუ მიუშვით თვითდინებაზე საავადმყოფოები, ნუ აძლევთ საშუალებას, ხშირ შემთხვევაში, ყასბების დონემდე დასულ ექიმებს, ფული აკეთონ საყოველთაო დაზღვევის წყალობით. ეს შესანიშნავი პროგრამაა, ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ ამ გზით ძალიან ბევრი ადამიანი გადარჩა. ბოლო-ბოლო, ადამიანებს აღარ ეშინიათ, რომ სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლისას მარტონი არიან. თუმცა ადამიანებს ეშინიათ აფთიაქებში შესვლისა – ნახეთ, რა ფასებია თურქეთში (სხვა ქვეყნებს აღარ ჩამოვთვლი) და რა ფასებია საქართველოში. ეს არის წმინდა წყლის ყაჩაღობა, არ შეიძლება, ერთი უბრალო მედიკამენტი ჩვენთან ღირდეს 30-დან 50 ლარამდე, ხოლო იგივე სახის მედიკამენტი თურქეთში ღირდეს 3–4 ლარი. ალბათ მეტყვით, ეს კერძო სექტორია, ვერ ჩავერევითო. რას ჰქვია, ვერ ჩაერევით? მაშინ რისთვის შექმენით კონკრენციის სააგენტო და რისთვის დასვით იქ ნოდარ ხადური, რისთვის ვუხდით ხელფასს, თუკი არ გამოიძიებს კარტელურ გარიგებებს და სხვა სახის მაქინაციებს? ისე, ყოველი შემთხვევისთვის, გადაურეკეთ ხადურს, გააღვიძეთ, ნამეტანი ღრმად ხომ არ ჩაეძინა?

ამ დღეებში ხმა გავარდა, გმირთა მოედანზე ჰიპოპოტამს (ბეჰემოტი) ძეგლი უნდა დაუდგანო, ვერეს ხეობაში წყალდიდობა რომ იყო, იმის აღსანიშნავად და ამაში დაახლოებით 900 ათასი ლარი იხარჯებაო. თავიდან ხუმრობა მეგონა, ვიფიქრე, „ნაცები“ ავრცელებენ ფეიკ-ნიუსს-მეთქი. მოგვიანებით ერთ-ერთი თქვენგანი გამოხვედით და განაცხადეთ, ეს საზოგადოების დაკვეთააო. კარგით, რა, ეს საზოგადოების ისეთივე დაკვეთაა, როგორც ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია იყო. მე პირადად ძალიან კარგად ვიცი, რომ ხალხის მიერ დაწერილ უსტარში, რომელსაც თქვენ გზავნილი უწოდეთ, ჰიპოპოტამზე ეწერა რამე და არც კახურ ჩუტრუკზე.

და ბოლოს... საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ჩვენ რეგიონებში წავაწყდით არნახულ გულგრილობას, ქარაფშუტობას და ტაშკუილობას, მერები და მათი მოადგილეები ხან მხართეძოზე იყვნენ წამოწოლილები, ხან კიდევ რესტორნებში ტყვრებოდნენ უაზროდ, ჰაიჰარად ფლანგავდნენ საარჩევნოდ გამოყოფილ თანხებს. ისინი ისევ ადგილებზე არიან და ძველებურად „ბაირამობენ“. დამიჯერეთ, თითქმის ყველა რაიონი ბომბზე ზის და ყველა ბომბი 2020-ში აფეთქდება. აღარაფერს ვამბობ პატარ-პატარა ყუმბარებზე, „ქართული ოცნების“ ეგიდით ფარული „ნაციონალები“ საარჩევნო კომისიებსა თუ უბნებში რომ არიან განთესილნი.

ძვირფასებო, კიდევ ბევრი პრობლემაა, რაც ხალხის გზავნილში ეწერა, მაგრამ ერთ საგაზეთო სტატიაში ვერ ჩავტევ. ამიტომ, დანარჩენზე მომდევნო ნომერში მოგახსენებთ.




პატივისცემით,
**გელა ზედელაშვილი**

# საქართველოს არაფერი არ ეშველება, სანამ არსებობს „რუსთავი-2“ და მისი კლონები



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ბატონი სოსო მანჯავიძე.*

**— ბატონო სოსო, ტელე და სოციალური მედია გაჯერებულია ბილწსიტყვაობითა და აგრესიით. თქვენ ხშირად გამოთქვამთ მოსაზრებებს ამაზე. უფრო კონკრეტული რომ იყოთ, რა შედეგი შეიძლება ამ ტენდენციამ მოიტანოს?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: საქართველოს არაფერი არ ეშველება, სანამ არსებობს „რუსთავი-2“ და მისი კლონები.

ინფორმაციას და იმ ინფორმაციულ კონოტაციას (ინფორმაციის დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობა — უცხო სიტყვ. ლექს.), რომლითაც ცნობებს გვაწვდიან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოგეხსენებათ ადამიანი, პირველ რიგში, არის ინფორმაციული არსება.

„პირველად იყო სიტყვა“, ხომ გახსოვთ. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ჩვენ, ხშირად, ვერც კი ვაცნობიერებთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს თვითონ ინფორმაციას.

ტელეარხებიდან მომდინარე უარყოფითი საინფორმაციო ნაკადი, წარმოიდგინეთ და, ძირითადად, აგებულია მოლოდინის პრინციპზე. მაყურებელი იძაბება და ამ დროს ორგანიზმში გამოიყოფა გარკვეული სახის ფერმენტები, მაყურებელი ერთგვარ სტრესს იღებს. ის ამ სტრესს უკვე მიჩვეულია და მოთხოვნილებადაც აქვს ქცეული. მიჩვეულია, რომ მიწოდებული ინფორმაციიდან მიიღოს ერთგვარი ზომბირება, ამბის ინტერპრეტირება იმგვარად, როგორც აწყობს ეს ამა თუ იმ ძალას.

როგორია მაყურებლის რეაქცია? როგორც გითხარით, ის ამ უარყოფითი ემოციებით მიღებული ვნებებით ტკბება, როგორც ქეციანი, რომელსაც ფხანა სიამოვნებას გვრის.

ჩვენს ქვეყანაში ყოველივე ეს გადავიდა ძალიან მძიმე ფორმებში, მით უფრო მაშინ, როცა პირდაპირ გინება დაიწყო ტელეეთერიდან საინფორმაციო საშუალების ხელმძღვანელმა.

ეს, ზოგადად, ერთგვარი ლპობის, ზნეობრივი ხრწნის ლოგიკური შედეგია.

ამაზე პასუხისმგებელი და ყოველივე ამის მაპროვოცირებლები ქვეყანაში ათასჯერ გადაყიდული ხალხი გახლავთ, მათ შორის, უპირველესად, ე.წ. არასამთავრობოები, სოროსელები, მებრძოლ უღმერთოთა თანამედროვე ჯგუფები. ბანალურია ამაზე საუბარი ახლა, რადგან არაერთხელ გვისაუბრია.

**— ბატონო სოსო, ვინ უნდა მოსთხოვოს პასუხი იმ ადამიანებს, რომლებიც პირდაპირ საინფორმაციო შტურმს ახორციელებენ და მორალურად და იდეოლოგიურად სპობენ საზოგადოებას?**

— პასუხი, ცხადია, ხელისუფლებამ უნდა მოსთხოვოს, მაგრამ, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ამ მახინჯი მიდგომების და გამანადგურებელი იდეოლოგიის გამტარი აღმოჩნდა იმ დროს, როცა დღეს, მთელ მსოფლიოში, სწორედ აგრესიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმდინარეობს აქტიური ბრძოლა.

კარგად მახსოვს, 2016 წელს ვთქვი, ჩვენ გადავიქეცით ჩრდილო კორეად და ლიბერალიზმის ფორპოსტად-მეთქი. დღემდე ვაგრძელებთ, პრაგმატული თვალსაზრისითაც კი, ამ კონტრპროდუქტიულ გზას.

**— ამ ე.წ. „კონტრპროდუქტიულ გზაში“ ბატონი პრემიერის გამოსვლასაც ხომ არ გულისხმობთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე?**

— დიხ, სწორედ.

მან განაცხადა, რომ ამაყობს, ანტიდისკრიმინაციული კანონით. ეს უდიდესი მიღწევააო და ვინც ეწინააღმდეგება ამ კონტრლირებულებების პროპაგანდას, მარგინალური ჯგუფები არიანო.

მას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, მის მიერ ნახსენებ „მარგინალურ ჯგუფში“ ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი და მთელი სინოდი რომ იგულისხმებოდა, რომლებმაც ამის შესახებ არაერთგზის გამოთქვეს შეხედულება. მეტიც, მან მარგინალებად შერაცხა არა მხოლოდ მართლმადიდებლური აღმსარებლობის მოქალაქეები, რომლებიც ლგბტ მიმართულების მქონე ადამიანებს სულიერი მოტივებით ვერ და არ თანაუგრძნობენ, არამედ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოში მცხოვრები კათოლიკეები, ჩვენი მუსლიმი, აზერბაიჯანელი და სომეხი თანამემამულეებიც.

მოკლედ, ყველა, ვისაც არ მოსწონს ლგბტ-ები — მარგინალები ყოფილან, ხოლო ბაია პატარაია და არასამთავრობოები საამაყო ხალხი.

იქნებ, პრემიერ-მინისტრს ჰგონია, რომ ეს გახლავთ პრაგმატული გათვლა, რათა ლიბერალებს ევროსაბჭოში კოჭი გაუგოროს. მას რომ ეთქვა, მართალია, ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი და არ გვსურს მოხდეს საზოგადოებაში წინააღმდეგობა, მაგრამ ვითვალისწინებთ საზოგადოების სხვა ფენების განწყობებსაც და ვიქცევით ისე, როგორც შეესაბამება დემოკრატიულ საზოგადოებასო. ეს რომ ეთქვა, არავითარი უარყოფითი რეაქცია არ იქნებოდა არც ერთი მხრიდან.

დღეს საზოგადოებაში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ეს რეპუტაციული დარტყმა წარმოუდგენელია რომ განეიტრალდეს. თუ ვინმეს ჰგონია, პრემიერ-მინისტრის ეს სიტყვები ჰაერში გაიფანტა, ძალიან მწარედ ცდებიან.



არავის მტერი და ჩასაფრებულ პოზიციაზე მდგომი არ ვარ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ მინდა, კვლავ ახალი დესტაბილიზაცია, ახალი ძალადობრივი ცვლა და პოლიტიკური პროცესები ისტერიულ ფონზე ვითარდებოდეს.

ხელისუფლება ვერა და ვერ მივიდა იმ კონდიციამდე, რომ დასხდნენ და მიიღონ კანონი ცილისწამების შესახებ ისეთი ფორმებით, რომელიც ადეკვატური იქნება საზოგადოებაში არსებული ვითარების. არც უფიქრიათ ფეიკ-ნიუსების წინააღმდეგ კანონის მიღებაზე, არც იმაზე, რომ გინება აიკრძალოს მაუწყებლობის ეთერებიდან, მაუწყებლობების ხელმძღვანელ პირებზე დაწესდეს სანქციები და ა. შ.

ამ განუკითხაობის შედეგი იყო, რაც ხდებოდა საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ყოვლად ამაზრზენი დაპირისპირება მიმდინარეობდა.

დღემდე არ წყდება ეს დაპირისპირება კონკრეტულ პირებსა და ჯგუფებს შორის. შედით სოციალურ ქსელებში. პირდაპირ კატასტროფაა — ყველა ყველას ლანძღავს, დიდს, პატარას, კაცს, ქალს, მკვდარს, ცოცხალს. რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ეს წარმოსადგენია?

გამოეთრივნენ მოკინწურაშვილო ელემენტები და გამოაცხადეს: სიტყვის თავისუფლება შეიზღუდება, თუ გინება და შეურაცხყოფა დასჯადი გახდებაო.

თურმე დემოკრატია ყოფილა ლანძღვის თავისუფლება.

ასეთი ადამიანები გამოჰყავთ ტელევიზიებში და ტვინს ურეცხავენ ჩვენს ისედაც გაჭირვებულ ხალხს.

ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა იმდენს, რასაც ვუძლებთ და რასაც იტანს ჩვენი მოსახლეობა.

ჩვენ, სუსტი სახელმწიფო ვართ, არ გვყავს გეოპოლიტიკური მოკავშირე და სხვა მეგობრები და პირდაპირ გახვეული ვართ სოროსის და მისი დამქაშების ქსელში. გადავარდნილი არიან ღონისძიებებში, როგორ გააშუქონ განდერული თეორიები, ლექციებს ატარებს NDI, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ავცდით, როგორც ამბობენ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის განვითარების გზას. აშშ-ის ადმინისტრაციაში დღეს პირდაპირი ბრძოლა მიმდინარეობს ლიბერალური მიმართულებების წინააღმდეგ. დღეს ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამერიკის ხელმძღვანელობის ოპოზიციის გავლენის ქვეშ ვიმყოფებით.



კვირიკაშვილს ცალ მხარეს კლინტონი ედგა, მეორე მხარეს სოროსის აჩრდილი და ამ იდეოლოგიით დააკომპლექტა პოლიტიკური სპექტრი და დაასვა თავზე „ქართულ ოცნებას“.

აქვს თუ არა „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს ამ სიტუაციის სწორი აღქმა და ცდილობს თუ არა, გამოასწოროს სიტუაცია, ეს სხვა საკითხია, თუმცა სიტუაცია ყოველთვის შეიძლება გამოსწორდეს, თუ შეცდომას მიხვდები და აღიარებ — თუ სწორ საკადრო გადაწყვეტილებებს მიიღებ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ჩაქუჩა

## პოლიტიკური ნოველა



თავიდან ბოცო დაარქვეს. მშობლებს შეეშალათ. რამდენიმე წლის შემდეგ გაახსენდათ, რომ ბოცო არ იყო მთლად კარგი სახელი, შურიანები ბოცასაც კი ეძახდნენ და მეტრიკაში „ნუგზარი“ ჩაუწერეს. ცოტა რომ წამოიზარდა, მეზობლებმაც შეამჩნიეს, რომ თავი უფრო ეზრდებოდა, ვიდრე ტანი. ვინაიდან, სუსტი ფეხები კვახივით თავს ვეღარ უძლებდა, კოჭებში დაებრიცა. მამას პერიოდულად წამოუვლიდა ხოლმე ხვაშიადი, ნაცნობ-მეგობრებში წაეტრაბახა, სამამულე ლომს კოჭებში ეტყობაო, მაგრამ დახედავდა თუ არა შვილის დაბრეცილ კოჭებს, ხმას ვეღარ იღებდა, დარდს გულში იკლავდა. არადა, თავიც რაღაცნაირად ეზრდებოდა, მრგვლად და პროპორციულად კი არა, ოთხკუთხედად, საბჭოთა ჩაქუჩივით... უფრო სწორად, უროსავით, კომუნისტების დროს წითელ დროშაზე რომ იყო ხოლმე გამოსახული.



მოგვიანებით, როცა უფრო წამოიზარდა, ანუ როცა წამოჭაბუკდა, ერთმა დაკვირვებულმა მეზობელმა წამოიძახა: ამას მგონი შუბლის ძარღვი საერთოდ არ აქვსო. დაფეთდნენ მშობლები, გადაირივნენ, უნახეს შუბლი, საფეთქლებიც გაუსინჯეს, ყურებიც დაუზილეს, მაგრამ ძარღვი ვერ იპოვეს. ვაიმე, აწი რა გვეშველება, ამისგან ხომ არც დო გამოვა და არც მაწონიო? — იბღავლა ბებიამ და გაიშალა კიკინები. რა იყო, ქალო, ამნაირი ხომ ძალან ბევრი დადის ჩვენ ქალაქშიო? — ჩასჩურჩულეს შეკრებილმა ქალებმა ბებიას და ისიც უმალვე დამშვიდდა. მერე კიდევ გაიმართა ამ თემაზე მსჯელობა, ბაღანეს შუბლის ძარღვი რომ არ აქვს, შეიძლება უკეთესიც კი იყოს, ცხოვრებაში გზას დაუბრკოლებლად გაიკაფავს, ქიციც ეცოდინება, ქიცმაცურიც, სინდის-ნამუსი არ შეაწუხებს, დიდი კაცი გამოვაო. დამშვიდდა მთელი სანათესაო, ქალებმა ისევ შეიკრეს კიკინები. გამართლდა მათი ვარაუდი, ნუგზარი ნელ-ნელა იკაფავდა გზას ცხოვრებაში. თავიდანვე დაამუღამა და შეისისხლხორცა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მეთოდი — ყოველთვის უნდა ყოფილიყო იქ, სადაც სიტუაცია დუღდა და გადმოდუღდა. არა, ჭკვიანურსა და აზრიანს არაფერს ამბობდა, უბრალოდ ფიზიკურად იყო ყველგან.

ჰმ... თქვენ იცინეთ და ბოცო, ჩაქუჩა, იგივე ნუგზარი მაინც მიიწევდა წინ ცხოვრების ასპარეზზე. კომუნისტების გადაშენების პროცესი დაიწყო თუ არა, ეგრევე ეროვნულ მოძრაობას მიეტმასნა და მოულოდნელად ზვიადისტების გარემოცვაშიც აღმოჩნდა. არც მაშინ უთქვამს რამე ჭკვიანური, უბრალოდ იქ იყო და იყო. თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს, მანამდე რამდენიმე გამომცემლობაში მოაწყო მამამ. იქაც ვერ გაზდა აკაკი შანიძე.

საკუთარ გულში რომ ჩაიხედავდა ხოლმე, პერიოდულად მაინც გაჰკრავდა ფიქრი: „ამხელა ოქლაქი გავიზარდე, ვერაფერი ვისწავლე, თავში არაფერი შემსვლია მტვრის ნაწილაკების გარდა და მაინც დიდ პატივს მცემენ, ნეტავ რატომ“? ძალიან ეშინოდა, ამნაირ ფიქრებს არ შეეპყრო მუდმივად. როცა მსგავსი რამ გაჰკენწლავდა, ხელს აიქნევდა, გეგონება ბუზებს იგერიებსო და უცებ ეკას გადაურეკავდა. მაშინ მობილურები თითქმის არ იყო, თითო-ოროლას თუ ეკიდა საქამრეზე — ვეება და თანაც ანტენიანი, ამიტომ სახლის ტელეფონის „ტრუპკას“ წამოავლებდა ხოლმე ხელსა. აბა, ეკაო? — იკითხავთ თქვენ. ხერხეულიძე, კაცო, ჯერ რომ ზვიადოსტობდა და მერე კიდევ მთელი ცხოვრება „ნაცობს“.

დრო გადიოდა. ზოგი მიდიოდა, ზოგი — მოდიოდა. ზოგს კლავდნენ, ზოგს — ტ...ნავდნენ. ზოგს აძევებდნენ, ზოგს — გულში იკრავდნენ, თვითმფრინავის ტრაპზე თაიგულებით ხვდებოდნენ. ბოცო, იგივე ნუგზარი დაიბნა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. თუმცა მისი სახეირო რომ არაფერი იყო, ამას გუმანით ხვდებოდა. არადა, ზვიადისტის სახელი ისე შემორჩა, ვეღარ იშორებდა. ერთ მშვენიერ დღესაც ეკამ დაურეკა და უთხრა, უნდა დაველოდოთო.

— რას უნდა დაველოდოთ, ეკუშ?

— დროის ცვლილებას უნდა დაველოდოთ, აუცილებლად გამოჩნდება თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც ამ მოღალატეებს განგმირავს.

— როგორც მახსოვს, დონ კიხოტიც თეთრ ცხენზე იჯდა, ხო?

— ნუ ლადაობ, მე არ მიყვარს ეგეთი უკბილო ლადაობები! — გაცხარდა ეკა.

— კარგი, ესე იგი, დაველოდოთ, ხო? — შეუტრიალა შეკითხვა ბოცომ.

— სხვა გზა არ გვაქვს... არც კი გაბედო და ედიკას „სასტავში“ არ გაიჩითო!

— რას ამბობ, ეკუშ, ვინ მეძახის? — ლამის ჩადნა ბოცო, იგივე ნუგზარი ყურმილში.

დრო ისევ გადიოდა... ზოგი მიდიოდა, ზოგი — მოდიოდა... ზოგი ზეცაში ადიოდა, ზოგი საფლავში ჩადიოდა... ამასობაში, საქართველომაც, უნდოდა, არ უნდოდა, მაინც შეაბიჯა თანამედროვე კაცობრიობასთან ერთად 21-საუკუნეში. უცებ ნუგზარი მიხვდა, რომ მისი დრო დგებოდა. არა, განა რამე განსაკუთრებული ხდებოდა? უბრალოდ ნაპირა ყურის ძირში ღიტინი ეწყებოდა ხოლმე. ერთი ხანობა იფიქრა, შუბლის ძარღვი ამიმოქმედდაო, მაგრამ აბა, სად შუბლის ძარღვი და სად — ყურის ძირი? ღიტინმა მაინც თავისი გაიტანა, თბილისის ქუჩებში გამოსვლები იწყებოდა. კარგახანს ვერ მიხვდა, ამდენი ხალხი რას დაბოდიალობდა, მოგვიანებით კი იგრძნო, შეიძლება შევარდნაძე სახლში გაუშვანო. ერთი-ორჯერ თვითონაც მოუნდა ქუჩაში გასვლა... თუმცა გადაიფიქრა, ბებიამისის შეგონება გაახსენდა — შვილო, ფრთხილად, ემანდ ფარცაგს არაფერს გადაეყაროო. ერთ დღესაც ისევ დაურეკა ეკამ.

— ნუგოოოო, უნდა გაგახარო, ბიჭო, სააკაშვილი მოდის წითელი „იკარუსით“.

— აკი თეთრი ცხენითო?

— რა თეთრი ცხენი, შე ჩაქუჩო?

— შენ მითხარი, თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი გამოჩნდებაო.

— წითელ „იკარუსზე“ ამხედრებული პრინცი მოდის წალენჯიხიდან, არ გაწყობს?

— რავი, მაწყობს თუ არა, ჯერ არ ვიცი, — აიჩეჩა მხრები ბოცომ, იგივე ნუგზარმა და ღრმად ჩაფიქრდა.

ისინი მოვიდნენ, რამდენიმე დღე ვარდებით დარბოდნენ. შევარდნაძემ თქვა, სახლში მივდივარო. ნუგზარი ვერ მიხვდა, რატომ უნდა წასულიყო ედუარდი სახლში, ეტყობა, „პერერივზე“ მიდიოდა და ისევ დაბრუნდებოდა. თუმცა შეცდა, მოგვიანებით მისი ადგილი სააკაშვილმა დაიკავა. აი, ტრიბუნაზე რომ ავარდა, ტრაკიდან ბოლი რომ გასდიოდა და ჩაი დალია, ამან დააეჭვა, რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა.

დრო გადიოდა... ზოგს იჭერდნენ, ზოგს — ართმევდნენ, ზოგს — აუპატიურებდნენ, ქვეყანა შენდებოდა, ქუჩებში ასფალტი იგებოდა, დენი ხშირად აღარ ითიშებოდა, ბოცოს კი, იგივე ნუგზარს არავინ ეძახდა. უკვე ნერვიულობდა, წამდაუწუმ იღლიები უოფლიანდებოდა და ნაპირა ყურის ბიბილოს ძირში ღიტინს განიცდიდა. მეზობელმა სუსანამ უთხრა: ბიჭო, ეგ ნევროზია, აქიმთან მიდიო. აქიმი არა, ფეხები, ადგა და ძველ თანამებრძოლს, გულიკო გიგიბერიას დაურეკა, თუ „ნაცმოძრაობის“ ელიტაში ვინმე გყავს, მიმიყვანე, იდეები მაწუხებს, თავი მისკდება. მარტო კი არ უსკდებოდა თავი ლენინივით, უბრალოდ საკუთარ თავს უწევდა მახანდას. მიიყვანა გიგიბერიამ „ნაციონალების“ შტაბში ხელჩაკიდებული მიშასთან და შეეხვეწა, თუ ღმერთი გწამს, შემოულაწუნეო. მიშა შეხტა და შემოტრიალდა — შემოვულაწუნებ, აბა, რას ვიზამო? სწორედ ეგეთი ხალხი მჭირდება, ხელს რომ ვერ შემომიბრუნებენო. თუმცა ისე იყო გართული მავანთა შემოლაწუნებაში, ბოცო, იგივე ნუგზარი სულ გადაავიწყდა. იჯდა ნუგზარი მისაღებში მარკშეიდერივით, შემსვლელ-გამომსვლელებს ეკითხებოდა, ეს ბზარი აქ იყო თუ არაო? არავინ პასუხობდა ხეირიანად, მხოლოდ ხათუნა გოგორიშვილი გაუღიმებდა ხოლმე ზრდილობის გულისთვის, მერე თავზე იტაცებდა ფუმფულა ხელებს და ამოიკვნესებდა: აჰა, ისევ შემაქანა, ამ წყეულმა.

მობეზრდა ბოცოს, იგივე ნუგზარს უქმად ჯდომა, ისევ გადაურეკა ძველ თანამებრძოლს, სიტყვებს ვერ აბამდა ერთმანეთზე... მეო, იქ არავის ვჭირდებიო, ყურადღებას არავინ მაქცევსო. ეს როგოროო? — ჰკითხა მავთულს იქიდან თანამებრძოლმა. როგორ და აეგრე, წამოსვლას ვაპირებო. უი, უი, მოიცა, ცოტა ხანს კიდევ იჯექი მისაღებში, ამ დღეებში გამოვივლი და ორიოდე სიტყვას შეგაწევო. შეაწია, გაჭრა, ყასიდად დაელაპარაკნენ, თითქოს მოეწონათ, დაახლოებით ჩვენნაირიაო, ცოტა გამოცდილება აკლია, მაგრამ რამდენიმე თვეში მთლად ჩვენნაირი იქნებაო... რაც მთავარია, შუბლის ძარღვი არ გააჩნიაო. თუმცაო, თქვა ერთმა, ცნობა მაინც უნდა მოიტანოს, გარეგნულად არ გააჩნია, მაგრამ იქნებ მალავსო? მეზობელმა გარიკამ დაუწერა და ბეჭედიც დაურტყა, მიიტანა, მიიღეს, მიშასაც გააცნეს, დააწინაურეს, დეპუტატიც გახდა, ტელევიზორშიც მიიწვიეს, ალაპარაკეს... ჭკვიანური არაფერი უთქვამს, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, შეკითხვები ხომ დაუსვეს? გაიხარა მამამისმა, ხომ ვამბობდი, ჩემი შვილი დიდი პოლიტიკოსი გამოვაო? მართლაც, ბოცოს, იგივე ნუგზარს, მამუკიჩს, დედაქალაქის სიამაყეს თვალწინ გადაეშალა უსაზღვრო პოლიტიკური ასპარეზი. ვეღარ იძინებდა. ან კი რა დააძინებდა, როცა მამულს ყველა განსაცდელის ჟამს მისი იმედი ჰქონდა? თუმცა ცხოვრებისეულმა სიმუხთლემ ისევ იჩინა თავი, ისევ ჩამოწვა ცაზე საავდრო ღრუბლები. როცა იფიქრა, ჰეეეეე, აგერ, სადაცაა გაველით დამკაშიო, სწორედ მაშინ გამოჩნდა რუსი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი და თავდაყირა დააყენა ქვეყნის მომავალი.



●

ისევ დაიბნა, ეს ჩემისა... როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე — ძველებურად გამოჩემიჩდა. მიშამ დავალება მისცა, დილა საღამოს ილაპარაკე, რომ ივანიშვილი და მისი ხელისუფლება დამთავრებულიაო. თავიდან გაუჭირდა, ვერ იმახსოვრებდა, ტელევიზორში როგორ უნდა დაელაგებინა აზრები. არადა, დღეში სამჯერ ურეკავდნენ ჟურნალისტები, აწუხებდნენ, ეხლაც ურეკავენ, მაგრამ ეხლა უკვე გაზეპირებული აქვს — მოაღებს ხოლმე ქონიან პირსა და იძახის: მორჩა, ოლიგარქი დამარცხდა, რუსეთის ტრამალებში იმალება, მიჰა ჰამოა, გზაშია, ხვალ საღამოს ტრაპთან თაიგულებით დავხვდებით!

ამ ეტაპზე მორიგი დავალება აქვს: ზუგდიდში სანდრა უკვე გამარჯვებულია, ივანიშვილმა დამარცხება უნდა აღიაროს. რომ შეეპასუხო, ჯერ არჩევნები არ ჩატარებულაო, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე — გაეშმიშდება, ოფლიან კისერს მოიფხანს და იგივეს განაგრძობს.

მეზობლის ქალები აღარ იშლიან კიკინებს. სომეხი სირანაც კი მიხვდა, რომ ბოცოს, იგივე ნუგზარს ტვინის ხვეულები არ გააჩნია, რაღაც გლუვი მასა უდევს თავში.

— ნუგოჯან, დღეს თავი ხომ არა გტკივა? — ჩასძახებს აივანზე გადმოყუდებული სირანა იღლიაში „პაპკამოჩრილ“ ბოცოს და თან თავს გადააქნევს ხოლმე.

— თავი მისკდება, სირანჯან, წუხელ არ მეძინა, მამული განსაცდელშია, ოლიგარქი დაეპატრონა ჩვენს მინდორ-ველებს, ანადგურებს! — პასუხობს ბოცო, იგივე ნუგზარი და მანქანის კარს მიიჯახუნებს ხოლმე.

**ბელა ჟედელაშვილი**

555 48 48 61

# ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის

**ვახტანგ ხარჩილავა, მწერალი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი:**

— ვაგრძელებთ საუბარს თემაზე „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“, რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში და სერიოზული გამოხმაურებები მოჰყვა.

მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, თუ რატომ ჰქვია ამ რუბრიკას „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“.

2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და დაამარცხა „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი, ამით დაიწყო 90-იან წლებში შეწყვეტილი ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. ამიტომაც დავარქვით ამ რუბრიკას „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“.

2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ არა მხოლოდ სააკაშვილის მმართველობა დაამარცხა, არამედ შევარდნაძის 10-წლიანი რეჟიმი, რომელიც არანაკლებ დიდი უბედურებების მომტანი იყო საქართველოსთვის.

ბევრჯერ მაქვს ნათქვამი და კიდევ გავიმეორებ: სააკაშვილის რეჟიმი იყო შევარდნაძის რეჟიმის გაგრძელება, ანუ „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს ის 19-წლიანი უსამართლო და ძალადობრივი რეჟიმი დაასრულა და დაიწყო იმ ეროვნული მოძრაობის გაგრძელება, რომელმაც მიაღწია ქვეყნის დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა შინაური თუ გარეული მტრების ჩარევით შეფერხდა და დამუხრუჭდა.

2012 წლის „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამას, იმ პროექტებს და გეგმებს, იმ გამოსვლებს თუ გავიხსენებთ, რაც წინ უძღვოდა ამ არჩევნებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ის მართლაც იყო ახალი ყაიდის ქართული, ეროვნული სახელმწიფოს, შექმნის სურვილი და მცდელობა.

**ვახტანგ ხარჩილავა:** 2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და დაამარცხა „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი, ამით დაიწყო 90-იან წლებში შეწყვეტილი ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. ამიტომაც დავარქვით ამ რუბრიკას „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“.

**ელიზბარ ჯაველიძე:** თუ ბიძინა ივანიშვილს „ნაცები“ ლანძღავენ, ამით მისი სახელი მაღლდება. ესაა მთავარი. მახსოვს, ზვიად გამსახურდიას, კაცს, რომელმაც საერთოდ არ იცოდა რას ნიშნავს დესპოტური მოქცევა, ჩაუშესკუს ეძახდნენ. ასეა, ამ შემთხვევაშიც.

**ბადათერ არაბული:** ეროვნული ღირებულებები თანდათან პრიორიტეტული ხდება ევროპაში. ევროპელები უკვე ცდილობენ დაუბრუნდნენ თავიანთ ფესვებს. ჩვენ დიდი ფესვების ერი ვართ და ამ ფესვებს უნდა გავუფრთხილდეთ. სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებს ბიძინა ივანიშვილი.

**ლევან ანჯაფარიძე:** ბიძინა ივანიშვილს მინდა მივმართო: სანამ შეგვეძლება, მის მხარდამხარ ვიქნებით. ძალიან ბევრი ჰყავს დამფასებელი და პატივისმცემელი, მათ შორის ვარ მე, მთელი ჩემი ოჯახით.

**ირაკლი ვაშაყმაძე:** ბატონმა ბიძინამ დაგვაიმედა, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ყველაფერი გამოძიებული უნდა იქნასო... კულტურას მეტი ყურადღებაო, კულტურის, ხელოვნების მუშაკებს უნდა მოვუსმინოთო. თითქოსდა განათდა წყვდიადი.. „გულს იმედი ჩამესახა“, „სუნი ვიგრძენ გაზაფხულის“...

**ბესო მიქავა:** ბიძინა ივანიშვილი თავისი ფინანსური შესაძლებლობებით ხალხთან ერთად უძლეველია. ბიძინა ივანიშვილი თავის ფინანსებთან ერთად, მაგრამ ხალხის გარეშე, ადვილი დასამარცხებელია.

ბოლო 7 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი რამ ვერ გაკეთდა. დაშვებული იქნა შეცდომები, მაგრამ მთავარი მიმართულება, რაც აიღო ქართველმა ხალხმა — შენარჩუნდა. ყოველივე ამის წინამძღოლი და წარმმართველი იყო ბიძინა ივანიშვილი.

მე მომსწრე ვარ და თვითმხილველი იმ 30-წლიანი ციკლის, რაც გავიარეთ და შემიძლია ზუსტი დასკვნების გაკეთება, რადგან კარგად მახსოვს ყველაფერი.

ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე, სამწუხაროდ, ურაპატრიოტული პათეტიკა ნათლად ჩანდა. ვინც უფრო ხმამაღლა დაიძახებდა — გაუმაარ-ჯოს! ამით ის ვითომ სხვებზე დიდი პატრიოტი იყო. სინამდვილეში, ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი ჰქონდა გაკეთებული და არც არაფრის გაკეთებას აპირებდა. გარეგნული ატრიბუტიკით და ყალბი პათოსით ცდილობდა ქვეყნის მოჭირნახულე ადამიანის სახელი დაემკვიდრებინა.

დღესაც იგივე გრძელდება, შეუმდგარი ადამიანები, რომლებსაც სასიკეთო ჯერ არაფერი გაუკეთებიათ, ცდილობენ ზედაპირული, არაფრისმთქმელი, არაფრისმომტანი ლოზუნგებით მოიხვეჭონ სახელი.

ყოველივე ამის ფონზე ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელსაც ქუჩა-ქუჩა გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! არ უყვირია, მაგრამ მთელი ცხოვრება აკეთებდა და აკეთებს ეროვნულ საქმეს, სხვათა შორის, 90-იანი წლებიდან.

რამდენადაც ვიცი, ივანიშვილი არც აპირებდა პოლიტიკაში მოსვლას, გარემოებებმა აიძულეს — ის ან უნდა წასულიყო ქვეყნიდან, ან პოლიტიკაში შემოსულიყო, მან მეორე გზა აირჩია და სწორადაც მოიქცა.

„საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“. ეს სიტყვები დავიწყებული აქვს დღეს ზოგიერთს და მოლაყბეები, ფარისევლები და დემაგოგები ცდილობენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას. ჩვენს ღრმად პროვინციალურ ტელევიზიებში ასეთ ადამიანებს ფართო ასპარეზი აქვთ.

რა გაუკეთებია ბიძინა ივანიშვილს ჩვენთვისო, კაცი რომ ამას იტყვის, ის თავის თავს ამ ქვეყნის მოქალაქედ არ თვლის, თორემ, ივანიშვილმა რაც გააკეთა და რასაც აკეთებს, განა საქართველოსთვის არ კეთდება? აქ მაცხოვრებელი ყველა ადამიანისთვის არაა ყოველივე ეს?

სანამ საუბარს დავიწყებდეთ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მის ყოველ გამოსვლასა და ინტერვიუში არის მონახაზი პროექტის, როგორ უნდა განვითარდეს ეროვნულ ფასეულობებზე დამყარებული ქართული სახელმწიფო, თქვენ ამას შესანიშნავად ამჩნევთ და ხედავთ და სწორედ ამ თემებზე გვსურს, რომ ესაუბროთ ჩვენს მკითხველებს.



•

**ელიზბარ ჯაველიძე, მწერალი, აკადემიკოსი:**

— ეროვნულ ღირებულებებზე საუბარი, ბატონი ბიძინას მხრიდან, ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს, ეროვნული პრობლემები არავის აწუხებს, თითქოს, სამშობლო — საქართველო არც არსებობს. ბევრი უმეცარი, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, იმდენად გაყეყეჩდა, რომ ერთი ამბავი ატეხა — კანონში სამშობლოს ხსენება როგორ შეიძლებაო. ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს. ეროვნულ ცნობიერებას ჯერ კიდევ შევარდნაძე ებრძოდა, სააკაშვილმა კი საერთოდ, მიწასთან გაასწორა. გლობალიზაციის ტალღა არამარტო საქართველოს ანგრევს, არამედ მთელს მსოფლიოს. ჩვენზე ფიზიკურად ძლიერ ქვეყნებს როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. იდენტობის ცნება სხვადასხვა გზით გაუქარწყლეს. თუმცა, საფრანგეთი ფეხზე დადგა, როცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი



იწვოდა. სხვაგვარად, ეს ქვეყნები, თავისი წარსულის, თვითობის, იდენტობის დაცვას ვერ ახერხებენ. დავუბრუნდეთ, „იმედზე“ გასულ ინტერვიუს: ივანიშვილის საუბარი ძალიან საყურადღებო იყო. მან გააკეთა სწორი ანალიზი — რა მოხდა და რას სჭირდება შველა. უპირველესად, განაცხადა: 1991 წელს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დაამხეს და მას შემდეგ, საქართველომ ნგრევა და უკან-უკან სვლა

7 გვ. →

# ახალი ეროვნული მოძრაობა

← 7 გვ.

იწყო. მან აღნიშნა, რომ ეს ჩვენი ემოციების, ქართული ხასიათის ბრალია. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი ტენდენცია, ქარიშხალი, წარღვნა გარედან მოდის. თუ ჩვენ ვივიწყებთ ზვიადს, მერაბს და საერთოდ, ისტორიულ წარსულს, შედეგსაც შესაბამისს ვღებულობთ. გადახედეთ, რა ხდება ქვეყანაში – სკოლაში საქართველოს ისტორია აღარ ისწავლება, იმიტომ, რომ სააკაშვილმა განაცხადა: საქართველოს ისტორია ჩემი პრეზიდენტობიდან იწყებაო. მაშინ, ძეგლებსაც კი დაუწყეს ბრძოლა. ბერძენიშვილის ძეგლი – დავით აღმაშენებელი რესპუბლიკის მოედნიდან ქალაქის გასასვლელში გადაიტანეს. ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა დაგავიწყონ სამშობლო, ეროვნება, მართლმადიდებლობა. მავანს სურს ყველა ერთ საერთო ქვაბში მოგვხარშოს იქნება ეს სომეხი, აზერბაიჯანელი, ებრაელი თუ ა.შ. მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სომხებთან ერთად აღვიზარდე, მათაც იცოდნენ ზღვარი და ჩვენც, სიყვარული და პატივისცემა გვქონდა, ერთად ვჭამდით პურს. ასეთი განწყობა იყო და კიდეც იქნება. ამას ზედმეტი ხაზგასმა არ უნდა. დღეს, იცით უბედურება რაშია: უცხოელს, არამართლმადიდებელს თუ შეურაცხყოფა მიაყენე, ერთი განგაში ატყდება, მაგრამ ქართველი თუ დაჩაგრე – ხმას არავინ იღებს. ეს საშიში ტენდენციაა. სწორედ ამან წარმოქმნა ის უბედურება, რაც დღეს გვჭირს. დღეს, „ნაცმოძრაობა“, რომელიც, ჩემი აზრით, ფაშიზმზე უარესია და ბოკერიას თავკაცობით ყელყელაობს, უკვე თავს გავიდა. ამის მოთმენა აღარ შეიძლება, გული მისკდება. ამიტომ გავხდი საოპერაციო, ამათ ვუყურებდი და ნერვებს ვასკდებოდი. არ შეიძლება სამადაშვილი, რომელიც გატრუსულ შესაწვავ გოჭს ჰგავს, თავზე დაგვასვან, ან კიდევ ძველი კაგებეს სკოლადამთავრებული ხოშტარია. ანდაც, ავიღოთ ბოკუჩავა, რომელსაც ერთი წიგნი არ აქვს წაკითხული. დღეს თავზარდამცემი მდგომარეობაა. „ნაცები“ ოპოზიციად კი არა, მტრებად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, მათი დანაყოფებიც, რომელთაც განსხვავებული აზრი არ გააჩნიათ, უბრალოდ, ერის მოძულენი არიან. მათი მიზანია საქართველო და ქართველები როგორმე მოსპონ. სამწუხაროდ, დღემდე „ქართულ ოცნებას“ ამ სისხლისმსმელი ნაძირლების წინაშე თავის მართლება უხდება. გამოდის ოთო კახიძე – ეს ადეიშვილის „მიჯნური“ და ზნეობასა და იურისპრუდენციაზე მესაუბრება. არადა, მან და ადეიშვილმა ქართველი კაცი გაანადგურა როგორც ეკონომიკურად, ისე სულიერად. ამის მოთმენა უკვე შეუძლებელია. ბოკერია, დღეს, დასცინის „ქართულ ოცნებას“. ჩვენი – ხალხის და ხელისუფლების ბრალია, რომ დღემდე იგი ციხეში არ გდია. „ნაცები“ თავის განშტოებებიანად ჯაჭვით უნდა გადააბა ერთმანეთს და საქართველოდან ასე განდევნო.



ერთ მომენტს გეტყვით: ჩვენ, ხომ ვებრძვით „ნაციონალებს“. პირდაპირ ვამბობ: ეს ფაშისტური ორგანიზაციაა. სააკაშვილმა თავის უკანონობით, კადნიერებით ვითომ საქართველოს დროშა საკრებულოს თავზე ააფრიალა, რის გამოც დასაჭერი იყო. ნაციონალური დროშა საქართველოს დროშად აქციეს, რაც დიდი სირცხვილია. ეს იგივეა გერმანიამ ფაშისტი ჰიტლერის ფაშისტური დროშა აღმართოს. არსებობს მთელი რიგი გამოკვლევები, რაც მეცნიერულად ამტკიცებს, რომ ეს დროშა ქართული არ არის. წარმოდგენა არ აქვთ რას ნიშნავს ერისთვის დროშა, სიმბოლიკა. სამაგიეროდ ერთ ამბავს ტეხენ – სასამართლო არ გვივარგაო. მურუსიძესი არც მე მწამს, მაგრამ ვისი შექმნილია ეს სისტემა?! პირადად მქონდა იმდროინდელ სასამართლოსთან შეხება, რომელიც მაშინ არაფერს წყვეტდა. პროკურატურიდან რეკავდნენ და მუდმივად ერთი მოწმე, ყოფილი მილიციელი ცხადდებოდა სხდომებზე. მე და ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ვესწრებოდით სასამართლო პროცესს, როცა ჩვენი მომხრეები დაიჭირეს. იქ, სრული განუკითხაობა ხდებოდა. დღეს, ეს ხალხი, თავის ნამოქმედარზე ჩვენ გვსაყვედურობს. ვინ შექმნა ეს უსამართლო სისტემა? – სააკაშვილმა ხომ. რატომ მაშინ არ იღებდნენ ხმას? – იმიტომ, რომ სააკაშვილის ეშინოდათ, მაშინ დემოკრატია არ იყო. დღეს, დემოკრატია თავის ნებაზეა მიშვებული და რასაც უნდათ იმას ყეყეჩობენ. დემოკრატიასაც სჭირდება საზღვრები, კანონები. გავიხსენოთ, რას ამბობდა ნიცშე: ცხოველს თავისუფლებას რომ მიანიჭებ, მერე მთელ მინდორს გადათელავსო. „ნაცებმა“ მთელი საქართველო, ცნობიერება, ზნეობა გადათელეს. რაც კი ქართველში წმინდა არსებობს ყველაფრის მოსპობა უნდათ. ამის მერე წავლენ-წამოვლენ და ბიძინა ივანიშვილს მიახტებიან და ლანძღავენ. რატომ, თუ იცით? – სრული დაბეჯითებით ვამბობ: ეს კაცი ერთადერთია, ვინც მათ შეჩერებას ახერხებს. სხვაგვარად ეს ნაძირლები უკვე გაპარპაშებული იქნებოდნენ. ღმერთმა არ ქნას მათი მობრუნება, თორემ ისედაც დაქცეულ საქართველოს კიდევ უფრო დასუსტება უწერია. მე თუ დამიჭერენ, ეს პრობლემა არ არის, ისედაც ხშირად მიჭერდნენ. მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდობა აღარ გვეყოლება. აღარც გვყავს უკვე იმიტომ, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ყველა დონეზე სოროსია ჩაბუდებული, რომელიც სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, ახალგაზრდებს უნერგავს მოსაზრებას, რომ სამშობლოს ცნება არ არსებობს: თქვენ, იქ უნდა იყოთ, სადაც ბედნიერი ხართ და კარგად ცხოვრობთ, თქვენი სამშობლოც ის არისო. აი, რა არის მთელი უბედურება.

ბატონ ბიძინას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ერთი რამ მინდა ვუთხრა: იგი ძალიან პატიოსანი კაცია და ვიღაც რაღაცას რომ ეუბნება, ამის სჯერა და იწონებს. დიდი მეცნიერი გიორგი წერეთელი ბიძად მეკუთვნოდა. იგი მეუბნებოდა: არავის დაუჯერო, არსებობენ ისეთი ადამიანები რომლებიც ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ და მესამეს აკეთებენო. ესაა, უბედურება. მათი სიტყვის არ ინდობა. ყველა ადამიანი, რომელიც წარსულში ნაძირალა იყო, დღესაც ნაძირალაა. ქალი თუ ერთხელ შეცდა, მას ველარ გამოასწორებ, დაადგება იმ გზას, რასაც კახპობა ქვია. ასე, რომ „ნაციონალების“ გამოსწორება არ შეიძლება, ისე როგორც მორიელს ვერ გამოუსწორებ ხასიათს. „ნაცების“ სიკეთისკენ მოქცევა შეუძლებელია. პირადად, არასოდეს დავჯდები „ნაცებთან“ პურის საჭმელად, მათ ხელსაც არ ჩამოვართმევ იმიტომ, რომ ვიცი, ქვეყნის მტრები არიან. ქართულ კულტურას, ტრადიციებს ებრძვიან და ამავდროულად, პედერასტების აღლუმი უნდა გავმართოთო, გაიძახიან. ვაი, მათ პატრონს. ჩვენთან, მსოფლიო პედერასტებს იწვევენ, მაგრამ ეს არ გამოუვათ. ეცდებიან? – პასუხსაც მიიღებენ იმიტომ, რომ ქართველი კაცისთვის ასეთი რამ ყოვლად მიუღებელია. აქვე, მახსენდება ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები. მან თქვა: ქართველი კაცისთვის მიუღებელია ოჯახის ცნება გარდა ქალისა და მამაკაცისა და არავითარი ნომერ პირველი და ნომერ მეორე მშობელიო. ვიდრე გერმანიის კანცლერმაც იგივე არ გაიმეორე, მას არ შეეშვნენ. ასევე ღარიბაშვილმა თქვა: „ნაცებთან“ საუბარი არ შეიძლება, ნაძირლები არიანო. და ერთიც, განათლება დიდგორიდან უნდა დაიწყოსო. ამიტომ, მის დაბრუნებას მივესალმები და იმედით შევყურებ.

„რუსთავი-2“-მა თავად დაირქვა ხალხის ტელევიზია, მაგრამ მათგან ნორმალური, ზნეობრივი სიტყვა არ მახსოვს. ესენი ქადაგებენ გარყვნილებას, უზნეობას, მტრობას, თესავენ შურს. რას ბოდავს ეს ქალბიჭა, ფსიქიკურად შეშლილი გვარამია?! პირი დაუღია და იგინება, ერთი წავაწყდე სადმე და ვიცი როგორც ამოვუკერავ იმ მყრალ პირს. არ შეიძლება „რუსთავი-2“-ის, არასამთავრობოების მოსმენა. ახლა, პოლიციის კაპიტანი გიგაური გამიხადეს გმირი. ლომჯარიას შეხედეთ: პომადის წასმა არ იცოდა, ტუჩები დადღაბნილი ჰქონდა, ახლა სალონში დაიწყო სიარული და თავი რაღაც ჰგონია. ვფიცავ, მას ერთი წიგნიც არ ექნება წაკითხული. ესენი არიან უმეცრები. აქვე, ერთი რამ მინდა ვთქვა: ვის ებრძვის ის ხალხი „ქართული ოცნებიდან“ რომ განდგენ განზე? ერთ პლატფორმაზე აღმოჩდნენ ისინიც და „ნაცებიც“. ვიმეორებ, ვის ებრძვიან?! ახლა კიდევ ფილარმონიაში შეიკრიბნენ ვითომ საქართველოს დასაცავად და განაცხადეს: პოლიტიკაში არც ნაცები არ უნდა იყვნენ და არც „ქართული ოცნებაო“. ვინ უნდა იყოს გვითხრან, სად არის ოპოზიცია, თუ საკუთარი თავი ჰგონიათ რამე, თითქოს რაღაცას შეძლებენ და ვინმე მათ გაჰყვება?! დღეს, წინ წამოსწიეს თავისუფლების ქადაგება. თავისუფლება სულიერი ცნებაა. ერთხელ, მერაბ კოსტავამ მითხრა: ციხეში უფრო თავისუფალი ვიყავიო. კაცი რომელსაც შეუძლია ციხის კედლებშიც კი საკუთარ თავს მისცეს იმის ნიჭი თავისუფლებაზე იფიქროს – აი, ესაა ჭეშმარიტი თავისუფლება. ამათი თავისუფლება კი ცხოველურია და მეტი არაფერი. თავის დროზე დადგინდა, რომ ადამიანი, აზროვნების თვალსაზრისით, მაიმუნზე წინ არის, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ბედნიერია იმიტომ, რომ თავისუფალია. ესენი უარყოფენ იმას, რაც ადამიანს ადამიანობას ანიჭებს. ეს არის ჭკუა, ცნობიერის ესთეტიკური განცდა და ზნეობა. ამ ხროვას სურს ზნეობის ჩარჩოები მოსპოს და ცხოველებზე უფრო დაბლა დაეშვას. ამას ამბობს ახლადშექმნილ ორგანიზაცია – დაიცავი საქართველოე. ვინ აუკრძალა მათ თავისუფლება, რას მიედ-მოედებიან? სოროსმა



# ახალი საქართველოსთვის

განგვიცხადა თავის დროზე: მე, მოვედი და საქართველო საბჭოთა კავშირის ციხიდან გავათავისუფლეო. ამ თავისუფლებამ მოსპო ყველაფერი – ლიტერატურა, განათლება, მეცნიერება, სარწმუნოება, გააცხოველა ადამიანი. ძალიან აღელვებული ვარ. ტელევიზიებს დააკვირდით. ბათუმში ვიღაც გათავისუფლეს და ერთი ამბავი ატეხეს. ეს დალოცვილისშვილები ვერ ხედავენ რას აკეთებს „ტვ პირველი“, „კავკასია“, „რუსთავი2“ – ქართულ ცნობიერებას, ქართულ სულს ანადგურებენ.

ამ ნაძირლებმა ივანიშვილს ქება რომ დაუწყონ, ეჭვი შემეპარება რამდენად სწორ გზას ადგას ბატონი ბიძინა. აბა, ეგენი სხვას რას იტყვიან? რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის სიკეთის მსურველს ებრძვიან და ლანძღავენ. აბა, ივანიშვილი მათსავით რომ ებრძოდეს ქართულ ცნობიერებას, ეროვნულ ღირებულებებს, მაშინ ხომ სხვაგვარად იჭიკჭიკებდნენ. ივანიშვილს დიდი მოთმინება აქვს ამ ნაძირლებს რომ უსმენს. მათ რა იციან რა არის ქვეყანა, სამშობლო, ერი, სახელმწიფო. გამოდის ვაშაძე და ამბობს: ივანიშვილი ქართველ კაცს დაეხმაროსო. არ რცხვენია მაინც ამის მთქმელს? ისტორიას საკმაოდ კარგად ვიცნობ და არ მეგულება ადამიანი, ქველმოქმედი, რომელსაც იმდენი სიკეთე გაეკეთებინოს, რაც ივანიშვილს. იგი ყველაფერს იმისთვის აკეთებს, რომ ეს სიკეთეები საქართველოში დარჩეს. მას ვთხოვ: ნურავის ენდობა. მის გვერდით ბევრმა ისეთმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომელიც სანდო არ არის – ერთგული გგონია და უცებ, განზე დგება. მათ მხოლოდ პირადი კეთილდღეობა ანაღვლებთ. თუ მას „ნაცები“ ლანძღავენ, ამით ივანიშვილის სახელი მაღლდება. ესაა მთავარი. მახსოვს, ზვიად გამსახურდიას, კაცს რომელმაც საერთოდ არ იცოდა რას ნიშნავს დესპოტური მოქცევა, ჩაუშესკუს ეძახდნენ. ასეა, ამ შემთხვევაშიც. სამწუხაროა ისიც, რომ დღეს, ყველა სფეროში „ნაცები“ არიან გაძლიერებული. რამდენიმე ოჯახი ვიცი, რომელიც ივანიშვილმა გადაარჩინა და არჩევნებში ხმას მაინც „ნაცმოძრაობას“ აძლევენ. ესენი ავადმყოფი სექტანტები არიან. ვინც დღეს სააკაშვილს მხარს უჭერს, იგი ძალიან ღრმა ავადმყოფია იმიტომ, რომ თავად სააკაშვილია დაავადებული.

●

**ბადათერ არაბული, პოეტი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:**

– სამწუხაროა, რომ ხდება გადაფასება იმ ძირითადი ღირებულებების, რაზეც იყო დამყარებული ჩვენი სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში.

ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც მოხდა ბოლო წლების განმავლობაში, იყო ქართული მწერლობის დამცირება და დაკნინება. „შუშანიკის წამებიდან“ დაწყებული, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ბრწყინვალე ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები იყო ქვეყნის ე.წ. იდეოლოგიური და იდეური კონსტიტუცია, რომელშიც ყველა ზნეობრივი ნორმა და ცხოვრების წესი იყო მოქცეული და მასზე იზრდებოდნენ თაობები.

და დღეს, როცა „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილეს არ აღნიშნავს ერი, ეს არის ტრაგედია.

„ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველი ყველაზე დიდი ბრენდი იყო საქართველოსთვის. ჩვენს ქვეყანას შეეძლო ეჩვენებინა ევროპისთვის, რომ არ მოვდივართ ტყეებიდან და 850 წლის წინ ტოლერანტობის საოცარ მაგალითებს ვთავაზობდით კაცობრიობას. გვაქვს პოემა, რომელშიც წერია: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!“ მაგრამ სხვას რა უნდა ველაპარაკოთ, როცა ჩვენი ტელევიზიები სავსეა გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის, გაურკვეველი იდეოლოგიის, ზნეობის ადამიანებით. ტელევიზიები უკეთებენ მათ პროპაგანდას, ხდება მათი ცხოვრების რეკლამირება.

მაგალითად, ზის ტელევიზიაში რომელიღაც ლგბტ პირი და მას ახალგაზრდები უსვამენ შეკითხვას: როგორ გახდა ცნობილი საზოგადოებაში. ამას ტაშს



უკრავს ტელეწამყვანი. ახალგაზრდები კი ფიქრობენ, რომ ამ გზით კარგი იქნება, თუ მიაღწევენ პოპულარობას. მწერლობაშიც იმ ადამიანების გაფეტიშება ხდება, რომლებსაც ზნეობრივი და სქესობრივი გადახრები აქვთ – დედაზე ეწყებათ სექსუალური აღტყინებები და ა. შ.

ამაში დამნაშავეა კულტურის სამინისტროც, სხვათა შორის.

ავიღოთ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პერიპეტიები – შიშველი დარბოდნენ ღონისძიებაზე ვითომ მწერლები. მაშინ, როცა იქ არ წარადგინეს, მაგალითად, შესანიშნავი პოეტი, ქალბატონი მანანა ჩიტიშვილი, ბატონი ტარიელ ხარხელაური, თუნდაც ბატონი ვახტანგ ხარჩილავა, შესანიშნავი პოეტი, სხვები და სხვები.

გასაგებია, მაგრამ საერთაშორისო დონეზე საშუალო თაობის



წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ წარმოდგენილი, ახალგაზრდებთან ერთად. ფრანკფურტში 70 თუ 80 მწერალი იყო მივლინებული. მე არ მგონია, რომ საქართველოში 80 ან 70 ისეთი მწერალი იყოს, რომ ევროპისთვის აუცილებელი იყოს მათი შემოქმედების ჩვენება.

კულტურის სამინისტრომ შეარჩია ეს ადამიანები. სამინისტროში კი ნაცნობ-მეგობრობით დანიშნული პირები მუშაობენ, რომელთაც, შესაძლებელია, ინტერნეტით შერჩეული მწერლები და მათი ნაწარმოებები წარადგინეს.

უცოდინრებით არის სავსე თითქმის ყველა სტრუქტურა და დაწესებულება, ამიტომ ვამბობ: აუცილებელია განათლების სამინისტროს ჯანსაღი ფუნქციონირება. განათლებულმა და პროფესიონალმა კადრებმა უნდა დააყენონ ფეხზე ეს ქვეყანა.

გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს განათლების სამინისტროს, ამ დროს მას უერთებენ კულტურის სამინისტროს. ჩვენ ჩვენი ცოდნით, განათლებით და ჩვენი უძველესი კულტურით უნდა დავანახოთ მსოფლიოს, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა გვინდა, საერთოდ.

ზემოთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაზე“ ვილაპარაკეთ, „ვეფხისტყაოსანზე“, ეს ნაწარმოებები თავისთავად ვერ შეიქმნებოდა, რომ არ არსებულიყვნენ მასწავლებლები და რომ არ ყოფილიყო განათლების სისტემა უძველეს დროში საქართველოში.

საქართველომ რომ ძველი განათლების სისტემის უარყოფა მოახდინა გაუაზრებლად, ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა. ჩვენ, ფაქტობრივად, დავანგრიეთ გერმანული მოდელის განათლების სისტემაზე დაყრდნობილი პრინციპები და სპეციფიკა.

ახალი განათლების სისტემაა შესამუშავებელი და ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მწერლებმაც და მასწავლებლებმაც და იმ მეცნიერ-მკვლევარებმა, რომლებიც ამ კუთხით მუშაობენ წლების განმავლობაში. უნდა შეიქმნას წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც ამ კუთხით იმუშავებს.

რაც მოხდა განათლების მინისტრის ბრძანებით და პარლამენტის დადასტურებით, ეს იყო და არის ტრაგედია. მე-12-კლასელებს საერთოდ მოუხნეს გამოცდები – ბავშვებს მოტივაცია წაართვეს. ახალგაზრდებს აჩლუნგებენ, უმუშევარ ხალხს უაზრო სერიალებით ფიტავენ. რა ჰქნას მარტო ერთმა ბიძინა ივანიშვილმა? გამოდის ინიციატივით, ეროვნული, ისტორიული ხასიათის სერიალები უნდა გადავიღოთო. ძალიან კარგია ეს, მისასალმებელია, დიდი მადლობა თუნდაც ინიციატივისთვის, რომელიც, ვიმედოვნებ, განხორციელდება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ **„პირველად იყო სიტყვა“, ანუ ფილმი რომ გადაიღო, საჭიროა სცენარი, სცენარს წერს მწერალი, მწერლობა ყურადღებამისაქცევია! მწერლობა განსაზღვრავს ერის გემოვნებას, ხასიათს, თვისებებს, მასზეა დაყრდნობილი მუსიკაც, მხატვრობაც, ქორეოგრაფიაც და ა. შ.**

ამ დღეებში სტუმრად იყვნენ ჩამოსული აზერბაიჯანის კულტურის ცენტრის წარმომადგენლები, მწერლები. დავინტერესდით, რა ხდება აზერბაიჯანის მწერალთა კავშირში და აღმოჩნდა: აზერბაიჯანის მწერალთა კავშირში გამოდის სამი ლიტერატურული ჟურნალი, ფინანსდება ლიტერატურული გაზეთი. მწერლებს 65 წლამდე აქვთ სტიპენდია 600 დოლარი და 65 წლის შემდეგ პენსია 800 დოლარი. მწერლობის ხელშეწყობა აზერბაიჯანში უმაღლეს დონეზეა.

საქართველოში ჟურნალ „ცისკარს“, რომელიც 167 წლისაა და მინიჭებული აქვს არამატერიალური ძეგლის სტატუსი, სახელმწიფოსგან დაფინანსება არ აქვს. ეს ნიშნავს, რომ უარვყოფთ ჩვენს მწერლობას, ჩვენს კულტურას, ჩვენს წარსულს.

მარტო ერთი ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს ვერ გასწვდება, მაგრამ სხვა ვინ არის გულშემატკივარი, დამისახელეთ.

როცა ბიძინა ივანიშვილმა ქართული კინოწარმოების აღორძინების იდეა წამოაყენა, ახლა უნდა გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ინიციატივას, მხარში ამოუდგებიან. მწერლები პროფესიონალურ დონეზე დაწერილ სცენარებს დადებენ და არა დილეტანტურ და უწიგნურ ნაწარმოებებს.

ეროვნული ღირებულებები თანდათან პრიორიტეტული ხდება ევროპაში. ისინი უკვე ცდილობენ დაუბრუნდნენ თავიანთ ფესვებს. ჩვენ დიდი ფესვების ერი ვართ და ამ ფესვებს უნდა გავუფრთხილდეთ. სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებს ბიძინა ივანიშვილი.

●

**ლევან ანჯაფარიძე, კინორეჟისორი:**

– გაოგნებული ვარ ამ დღეებში რაც ვნახეთ. საფრანგეთში ემიგრირებული ქართველების ყოფას ვგულისხმობ – ქუჩაში რომ ცხოვრობენ კარვებში.

მე მრცხვენია ამის გამო და ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ იმ მამას, ორი შვილი რომ ჰყავს საფრანგეთში, ასფალტზე, კარავში, ის შვილები უყვარს. ეს არის სპეკულაცია შვილებით. ამ თემებზე მე ფილმიც მაქვს გადაღებული. „ორმაგი სახე“ ჰქვია ფილმს და იქ მაქვს აღწერილი მამაშვილობის ურთულესი საკითხი.

ბევრი უპასუხისმგებლო გვყავს ერში, მაგრამ, უცებ, მოულოდნელად, შეიძლება 100 000 წმინდანი გამოგვიჩნდეს, რომლებიც ყოვლადაწმიდა ღვთისმშობლის ხატს ფეხს არ დააბიჯებენ.

10 გვ. →

# ახალი ეროვნული მოძრაობა

← 9 გვ.

ასეთი თავგანწირული ხალხი დღესაც არის საქართველოში. ისინი არ ხმაურობენ და საერთოდ, წესიერება სიჩუმეშია. უწესობა და უზნეობა ხმაურობს ყოველთვის, თორემ წესიერი ჩრდილშია. დღეს „ნაგლი“ და



თავხედი თუ არ ხარ, ვერაფერს ვერ გააკეთებ. არადა, წესიერმა კაცმა თუ არ გააკეთა, გაუკეთებელი დარჩება ყველაფერი.

მაგალითისთვის გეტყვით: სახელოვანი მწერალი ოთარ ჭილაძე, ჩემი მეგობრის მამა, შეიძლებოდა წესიერი არ ყოფილიყო? მაგრამ მისი ხმაური გაგიგონიათ? ამ დღეებში კიდევ ერთხელ ვკითხულობდი მის ნაწარმოებებს და გული მწყდება, რომ ვერ შევძელი საკადრისად მისი მოფერება იმის მიუხედავად, რომ ის ერთ ჩემს ფილმშიც მყავს გადაღებული.

მწიფე თავთავის იგავი ყველამ ვიცით. ასეა, ვინც რაიმეს წარმოადგენს, ზედაპირზე არ ტივტივებს და თვალში არავის ეჩხირება.

ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც არსად არ მითქვამს: წლების წინ, ერთ-ერთი იმ კაცის დაბადების დღეზე მოვხვდი, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან მეგობრობდა და ეს მეგობრობა თვითონვე უარყო, ახლახან, რატომღაც.

ის პერიოდია, როცა ბიძინა ივანიშვილი ჯერ პოლიტიკაში არ არის მოსული. „ქართული ოცნების“ შესახებ ჯერ მხოლოდ ლაპარაკობენ. სუფრაზე ვისხედით მე, ჩემი მეუღლე, ბიძინა ივანიშვილი თავის მეუღლესთან ერთად და სხვები. ბიძინა ივანიშვილი იმდენად უშუალო და უბრალო იყო, რომ შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს შევხვდი არა უცნობ მილიარდერს, არამედ ჩემი ბავშვობის მეგობარს. მას მერე ეს კაცი მე არ მინახავს, არც მანამდე მყავდა ნანახი, მაგრამ, როგორც გითხარით, კარგი მეგობარივით თვითონ მისხამდა ღვინოს, თვითონ აწვდიდა ჩემს მეუღლეს კერძებს და სთხოვდა — მიირთვითო.

მე მგონია, როცა ასეთი და ამხელა კაცი, ასეთი უბრალოებით და გულწრფელობით, შემოდის შენი ქვეყნის ისტორიაში, მეტი გაფრთხილება და მოფერება სჭირდება.

რას გვიკეთებს და რა გაგვიკეთა ბიძინა ივანიშვილმაო.

თეატრები რომ ააღორძინა და განადგურებას გადაარჩინა, ათასობით ლარით რომ დაეხმარა გაჭირვებულებს და ავადმყოფებს, სამება რომ ააშენა, უამრავი სიკეთე უჩუმრად რომ გააკეთა, ბანკის ვალები რომ ჩამოაწერა ხალხს, ეს ყველაფერი გაკეთებული საქმე არაა? მოქრთამა ხალხიო, პოლიტიკაში არ იყო და საერთოდ არც აპირებდა, ოჯახებს რომ ინახავდა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა.

13 აპრილს შეკრება იყო ფილარმონიაში, ვყოყმანობდი: წავიდე-არ წავიდე, ბოლოს გადავწყვიტე, რომ არ წავსულიყავი და უნდა ვთქვა, კმაყოფილი ვარ საკუთარი თავის, რომ ეს არ გავაკეთე. იქ რომ წავსულიყავი, მერე მთელი ცხოვრება უნდა მენანა ამ ნაბიჯის გამო. ახლა სუფთა ვარ და მართალი საკუთარი სინდისის წინაშე და უფრო ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა



ივანიშვილი, ჩვენთან ერთად, გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.

ფილარმონიაში ბევრი ჩემი მეგობარი იყო. ქალაქელი კაცი ვარ, უამრავ ადამიანთან მქონია და მაქვს ურთიერთობა, მაგრამ, უნდა გითხრათ, იქ იმ დღეს შეკრებილი იყო ის ხალხი, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილისგან არასოდეს არაფერი არ მოკლებია, მეტიც, ბიძინა ივანიშვილის ხელიდან გამდიდრდნენ და გასუქდნენ. მე და ჩემნაირებს, მის ერთგულ ხალხს, ყოველთვის გვაკლდა ყურადღებაც და შესაძლებლობაც — პირადი კი არა, საზოგადო საქმეები რომ გვეკეთებინა.

ამ ვითომ მეგობრებმა, თავხედმა ხალხმა, გაწურეს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ვერ გაძღნენ მაინც. ბულემია სჭირთ თუ ფულემია, არ ვიცი, მაგრამ, ფაქტია, ვერ კმაყოფილდებიან და ახალ-ახალ საკბილოს ეძებენ.

დიდი ხანი არ არის, რაც ფილმი გადავიღე აფხაზეთზე და უნდა აღვნიშნო, ფილარმონიის დარბაზში რომ იჯდნენ, იმ ხალხიდან ბევრი თვლის, რომ აფხაზეთი გაცვეთილი თემაა უკვე.

„ციცინათელები“ საქართველოს ისტორიის მართლაც მწარე ეპოქალურ სიუჟეტს ასახავს, ამიტომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მივუდექით ამ საქმეს. გადაღებისთვის აუცილებელი საქმეების მოსაგვარებლად ერთ ადამიანთან მივედით და ვთხოვეთ: დაგვიდექით გვერდით, რომ ფილმი გადავიღოთ-თქო. პასუხი ასეთი იყო — აფხაზეთის თემა გაცვეთილია უკვეო.

კი, მაგრამ, რატომ არის გაცვეთილი, მოვიგეთ ეს ომი, აფხაზეთი დავიბრუნეთ თუ ის ბიჭები გავაცოცხლეთ, ვინც იქ ჩაიხოცა-თქო, — ვკითხეთ. არაფერი უთქვამს და ეს კაცი გახლდათ დავით მაღრაძე...

მე ვერ შევაფასებ ბატონი ბიძინას პატრიოტიზმს, მის ცოდნას, თუნდაც ეროვნული კინოს შესახებ კომპეტენციას, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით ვიცი, ქართული კინო უნდა აღორძინდეს. ეს ხელს შეუწყობს კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობების დაწყებას, დასაქმდება უამრავი ადამიანი, შეიქმნება კულტურული კავშირები.

„მტერი ჩემი — ძმა ჩემი“, ფილმი, რომელიც უკვე იხილა მაყურებელმა, აფხაზურ ენაზე გვაქვს ნათარგმნი. აფხაზებმა უკვე ნახეს ეს ფილმი.

ეს არის სახალხო დიპლომატია, როცა ხალხი, უბრალო ადამიანები უგებენ ერთმანეთს, ესმით ერთმანეთის გულისტკივილი. ეს დაახლოებისკენ დადადგმული ნაბიჯებია.

სულ თავიდან, როცა რეჟისორობა გადავწყვიტე, იქიდან მოყოლებული ოცნება მაქვს — გადავიღო კინოეპოპეა დავით აღმაშენებელზე. ვოცნებობ, მომეცეს ამის შესაძლებლობა არა იმიტომ, რომ ფილმი გადაიღოს ლევან ანჯაფარიძემ, არამედ იმიტომ რომ, ეს დღეს განსაკუთრებით სჭირდება ჩემს ქვეყანას.

დღეს საქართველოს სჭირდება იცით, კიდევ რა? — ძალიან კარგად უნდა დაიბაროს და დაიხნას, რომ წყალმა და მზემ ფესვებამდე ჩააღწიოს, რომ ახალი სიცოცხლე, ახალი დვრიტა წამოვიდეს და წესიერებამ ამოფეთქოს. თან გაზაფხულია და ახლა არის ზუსტად ამის დრო.

ბიძინა ივანიშვილს მინდა მივმართო: სანამ შეგვეძლება, მის მხარდამხარ ვიქნებით. ძალიან ბევრი ჰყავს დამფასებელი და პატივისმცემელი, მათ შორის ვარ მე, მთელი ჩემი ოჯახით და ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია.

ჯერ კიდევ 2007 წელს ირინა ენუქიძე და ია მეტრეველი რომ გადავიღე ფილმში, მაშინ მათი სახელების ხსენებაც კი საშიში იყო.

მახსოვს, კახა მიქაიამ მთხოვა, ზუგდიდში ვაჩვენოთ ეს ფილმიო (ფილმი „მას საქართველო ჰქვია“). ჩავედით ზუგდიდში. ზვიად გამსახურდიას სკვერში, კარავში გავათიე ის ღამე და დილას პოლიციის შენობის კედელზე გავუშვით ფილმი. იყო მუქარები, მაგრამ მაშინ გადავრჩი, თუმცა მერე იმით მაინც გადამიხადეს, რომ სტუდია დამიწვეს...

ერთ ამბავსაც გავიხსენებ: ვორონცოვის მოედანზე ვცხოვრობ. ჩემს სახლს დიდი აივანი აქვს. ამ აივანზე „ნაცმოძრაობის“ დროს 15-მეტრიანი პლაკატი მქონდა გაკრული გაერთიანებული ოპოზიციის მხარდასაჭერად. რამდენი რამე გადამხდა, დეტალებს აღარ მოვყვები, იმას აღვნიშნავ მხოლოდ, კანონიერ ქურდებს რომ მიგზავნიდნენ — ჩამოხსენი პლაკატიო. ვითომ რომ ებრძოდნენ კანონიერ ქურდებს და სინამდვილეში რომ მათი ხელით აგვარებდნენ პრობლემებს. ეს სხვა თემაა, მაგრამ ამ ამბავში უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვისი პორტრეტიც იმ პლაკატზე იყო, აღარავინ მიმიკარა მას შემდეგ, რაც ნაცები მოვაშორეთ ხელისუფლებას და თავად იმ პლაკატზე მყოფები მოვიდნენ ხელისუფლებაში...

ამ ამბებს იმიტომ ვყვები, რომ გული არ გაუტყდეს ბატონ ბიძინას და არ იფიქროს, რომ მარტო მას ღალატობენ. მოღალატეები ყველას ღალატობენ!

დღეს ქვეყანაა გადასარჩენი და როცა ამბობენ: ოღონდ ივანიშვილი არა და ვინც გინდა იყოს სხვა, რა ხდება, ტორტია გასაჭრელი და მსუყე ნაჭერს ელოდებიან? საქართველოზეა ლაპარაკი, იმ ქვეყანაზე, სადაც ჩვენი მამა-პაპათა საძვალეებია და ჩვენი შვილები იზრდებიან.

●

**ირაკლი ვაშაყმაძე, მწერალი:**

— საერთო გაზეთის“ მეთოთხმეტე ნომერში დაიწყო მეტად საინტერესო სჯა-ბაასი.

გავეცანი შემოქმედთა ნააზრევს, მათ გულისტკივილს, ეროვნულ სასოებასაც „ქართული ოცნების“ მეთაურის ბატონი ბიძინა ივანიშვილის გულისთქმათა გამო. ჭეშმარიტებას ბრძანებდნენ რუბრიკის სტუმრები. აღმოსავლური სიბრძნე გამახსენდა — „ვერც სამთვალიანი ღმერთი შივა, ვერც ათასთვალიანი ღმერთი ჰინდრა ვერ ხედავენ იმას, რასაც მწიგნობარნი, პოეტები ხედავენ თავიანთი ადამიანური თვალებით“. ეს კარგად იცოდნენ ქვეყანათა გონიერმა მმართველებმა, ამიტომაც ჰყავდათ ქვეყნის პატრონებს, მეფეებს გვერდით მრჩევლებად „ბრძენნი მწიგნობარმი ამა სოფლისანი“...

ბატონმა ბიძინამაც, როგორც დედაუნივერსიტეტელმა, კარგად იცის ეს...

შემოქმედის ნებით სამყარო დაუსაბამო და უსასრულო ღვთაებრივი წესრიგის გვირგვინია. სამყარო სრულქმნილებას და მშვენიერებას წესრიგში ავლენს. ამ ღვთაებრივი წესრიგის გარეშე იგი არ არსებობს, ვერც იარსებებს. წესრიგის, კანონის, სამართლის გარეშე ვერ იარსებებს ადამიანთა პოლიტიკურ-ეკონომიკური საცხოვრისი — სახელმწიფოც. წესრიგი და კანონიერება სახელმწიფოს სულია, ხორცია, ხერხემალია.

სიყვარულის, სიკეთის გზით ვიდოდა ქართველი კაცი ღმერთისკენ. საუკუნეების მანძილზე რწმენა აქანდაკებდა მაღალზნეობრივ ფენომენს ჩვენი წინაპრისას, რომელსაც ილია „სავსე კაცს“ უწოდებდა, ხოლო ვაჟა-ფშაველა — „კაი ყმას“. როცა „რჯული ენასთან იყო ჩართული“, როცა ქრისტიანულად „ორ-



# ახალი საქართველოსთვის



თავ ქვეყანაში“ ვცხოვრობდით“, სამშობლოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ვაშენებდით, მაცხოვარს სანთელს ვუნთებდით, ლოცვას ქართულად აღვავლენდით, უცხო „ლაჟვარდებისკენ მაცქერალი, ღმერთისკენ მიმავალი „სავსე კაცი“, „კაი ყმა“, „ქმედი ამა სოფლისა“ ახარებდა, უვლიდა ვაზს... აგებდა ხახულს და ხანძთას, ოშკსა და ბანას, ჯვარსა და სვეტიცხოველს... წერდა „ვეფხისტყაოსანს“, ქმნიდა საკაცობრიო საგანძურს, რომელსაც განუმეორებელი ქართული კულტურა ჰქვია. რწმენამ, მაღალი იდეალების მსახურებამ შექმნა მძლავრი ქრისტიანული საქართველო, ჰუმანიზმისა და რენესენსულ იდეათა ცხოვრებაში პირველი განმახორციელებელი... მერე ულმერთოებამ, ურწმუნოებამ დაგვრია ხელი, დაგვიბრმავდა უფლისკენ მაცქერალი თვალი, დავკარგეთ „მხედველობაი სულისაი“, „მუცელი ზეცას აეკრა, სული კი მიწას დაეცა“, ბოროტების ხახაში აღმოჩენილნი ნაქართველარებად ვიქეცით, ცხოვრების საზრისად მუცლის ავსება-დაცარიელება გავიხადეთ, „ლაფიან სინამდვილეში“ ვიწყეთ განცხრომა... და დღეს „ლაფიანი სინამდვილეა“ ჩვენი უმწეო უპირატესობათა მტკიცების ასპარეზი. მაცხოვრის მაგიერ ოქრო-ვერცხლი, ნივთი გავალმერთეთ.

ვერცხლისმოყვარეობის სენი ადამიანს დღეს და გუშინ არ შეყრია, ოცდაათიოდე საუკუნის წინ მიმართავდა ელინელ თანამემამულეებს ბრძენი სოკრატე: „ეჰა, უკეთილშობილესნო კაცთა შორის! ეჰა, ათენელნო, უდიადესი და სიბრძნითა თუ ძალმოსილებით ყველაზე სახელგანთქმულო ქალაქის მოქალაქევ! ნუთუ არა გრცხვენია, რომ მხოლოდ ოქრო-ვერცხლზე გიჭირავს თვალი, მხოლოდ ფულის მოგებაზე გელევა სული! ნუთუ მხოლოდ სახელისა და პატივის მოხვეჭაა შენი საზრუნავი და არა სიბრძნე და ჭეშმარიტება. სული? ნუთუ არ გინდა, რომ სული უფრო წმინდა, უფრო მშვენიერი, უფრო ზნესრული იყოს?“ არსად არ მძვინვარებს „ვერცხლის მოყვარეობის“ სენი ისე, როგორც ჩვენთან. ამ სენმა ქურდებად, ავაზაკებად, ყაჩაღებად გვაქცია... ჩვენ ნივთად ვაქციეთ სამშობლო, თანამდებობა, ადამიანი... ჩვენ გვავიწყდება ერთი მარტივი ჭეშმარიტება, ვერცხლის მოყვარულობა მტრობაა, სიძულვილია, ამიტომაც ჩამოდგა ჟამი სიძულვილისა... იოანე ოქროპირი აფრთხილებდა მოძმეთ: „ძმანო! ისმინეთ ჩემი, რამეთუ ბოროტ არს ვერცხლის მოყვარება, ბოროტი თვალთ და ყურთა დაუყოფს და მხეცისა უფიცხეს ჰყოფს კაცსა“. ახლა კი... რა ჰქნას ახლა ბატონმა ბიძინამ... ჩვენ ვითომ საქართველოში, ვითომ, სახელმწიფოში ვცხოვრობთ. 10 აღმაშენებელი რომ მოგვივლინოს უფალმა, ვერაფერს გახდება. სახელმწიფოს რძის ფხვნილით გაზრდილები ვერ ააშენებენ. „სავსე კაცთა“, „კაი ყმათა“ ლაშქარი ააშენებს ქვეყანას – დედის ძუძუთი გაზრდილი მადლიანი ვაჟკაცები, რაც ასე მცირეა დღევანდელ „ლაფიან სინამდვილეში“.

ვითომვითომაა ჩვენი ცხოვრება. ვითომ საქართველო, ვითომ ღვთისმსახური, ვითომ ქართველი, ვითომ ქრისტიანი. აღარ ვცხოვრობთ ქრისტიანულად. აგერ, ახლა, 90-იან წლებში, მძიმე შობის მარხვაში ხელში ავტომატი ავიღეთ, ზარბაზნები ქაშუეთიდან მთავრობის სახლს მივუშვირეთ... და... უფალმა იცის, მამულიშვილებმა იციან, მერე რაც მოხდა...

ბატონმა ბიძინამ დაგვაიმედა, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ყველაფერი გამოძიებული უნდა იქნასო... კულტურას მეტი ყურადღებაო, კულტურის, ხელოვნების მუშაკებს უნდა მოვუსმინოთო. თითქოსდა განათდა წყვდიადი.. „გულს იმედი ჩამესახა“, „სუნი ვიგრძენ გაზაფხულის“...

საუკუნეებია სახელმწიფო ინტერესებით არ გვიცხოვრია. არაფერი ვიცით კანონსა და კანონიერებაზე. ბოროტი ასამართლებდა კეთილს. თემიდა და მისი მსახური თუ გამოჩნდება, კანონიერებას, სიმათლეს დანატრებული ქართველი ხომ გაიხარებს და გაიხარებს, წესრიგიც აღდგება და სახელმწიფოს დაბადებაც დაიწყება... უფლისკენ მაქცერალ თვალს სინათლე დაუბრუნდება და წყვდიადიც გაქრება..

როცა ახლადგამომცხვარ, ახლადფეხადგმულ ფრანგულ გაზეთებს დიდი მწერალი ბალზაკი ათვალიერებდა და იქ სიცრუის, ლანძღვა-თათხვის, გინების, ორპირობის, ჭორიკანობის მეტი ვერა ნახა რა, გენიალურმა შემოქმედმა მთელი ევროპის გასაგებად ამოიგმინა: მალე ჟურნალიზმი და ჟურნალისტიკა კაცობრიობის დაუძინებელი მტერი გახდებაო. კაცობრიობის რა მოგახსენოთ, არ ვიცით... მაგრამ... ქართული პრესა-ტელევიზიებიდან ლანძღვა-თათხვის ღვარცოფი, სიძულვილის ნიაღვარი რომ მოედინება, ამას ბრმაც კი ხედავს... იმდენი ჰქნეს მეოცე საუკუნის დასაწყისში ღვთის მოძულე გაზეთებმა, ერის სულიერი მამა დიდი ილია ლამის შეაძულეს გლეხობას, ხალხს – რა ეპითეტებით არ ამკობდნენ სოციალ-დემოკრატები ერის უგვირგვინო მეფეს..

აგერ, ახლა, ზვიად გამსახურდიას რა დამართეს... ყველა ღირსეული მამულიშვილი მამულის უსაზღვრო სიყვარულისთვის დაისაჯა... ახლა რა ხდება... რატომ ხდება, რომ კვლავ ბოროტი ასამართლებს კეთილს... რატომ მიაგებენ პატივს უღირსებს...

სამართალი, ბატონო ბიძინა, უნდა აღსდგეს.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართველთა ზნეობრივ სიმახინჯეზე ჩვეული ტაქტით მიგვანიშნებს: „ხშირად გვიჭირს, ვიტანჯებით უსამართლობით, ძალადობით, გაუტანლობით... თვალებში ვუყურებთ მოსაუბრეს და მაინც ვატყუებთ... ვცრუობთ... ცუდი ზნე დაგვჩემდა“... თუ გადარჩენის ინსტინქტი მაინც შეგვრჩენია, გავხდეთ ახლა მაინც მორწმუნენი. გულისყურით ვუსმინოთ უფალს... და... უფალიც დაგვბადებს კარგ ყმებად, სავსე კაცებად... და საქართველოც აღდგება და გაბრწყინდება.

●

**ბესო მიქავა, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი:**

— დღეს სამწუხარო რეალობის წინაშე ვართ – ბიძინა ივანიშვილს უკეთებენ იმას, რაც გაუკეთეს ზვიად გამსახურდიას, ოღონდ ერთი განსხვავებით: ზვიად გამსახურდიას ებრძოდნენ ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ მატერიალურად და ფინანსურად ვალში გამსახურდიასთან. ვგულისხმობ იმას, რომ ზვიადს არ ჰქონდა ფული, მაგრამ ჰქონდა იდეა და ეუბნებოდა ხალხს: აი, ძმაო, ესაა ჩემი ბრძოლა, იომებთ ჩემთან ერთად? – მოხვდებით სამოთხეში, სხვას ვერაფერს ვერ შეგპირდებით და გაჰყვა მას უამრავი ადამიანი, ხოლო მერე, როცა დარწმუნდნენ, რომ სარგებელს ვერ ნახავდნენ, უმეტესობა განუდგა. გასაგებია. ეს გასაკვირი არაა ჩემთვის, მაგრამ, როდესაც ზუსტად იგივე ხალხი ბიძინა ივანიშვილმა დააპურა, ჩააცვა და



დაახურა, მაინც იგივეს აკეთებენ, რაც გაუკეთეს ზვიად გამსახურდიას.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ: დღევანდელ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკოსობდნენ 90-იან წლებში და პოლიტიკოსობენ დღესაც, მათ ზნე და ხასიათი არ შეუცვლიათ.

მე თქვენთან ადრე გამოვაქვეყნე ინტერვიუ, სადაც ვამბობდი: თუ ბიძინა ივანიშვილი არ დაიჭერს ხაზარაძეს და კვირიკაშვილს, ხაზარაძე და კვირიკაშვილი დაიჭერენ ბიძინა ივანიშვილს.

მაშინ ხაზარაძის საკითხი არც კი იდგა დღის წესრიგში და კვირიკაშვილიც პრემიერ-მინისტრობდა, მაგრამ მე ამ საშიშროებებს მივხვდი, ლგბტ პირების პარადი რომ ჩატარდა, მაშინ. დღეს, ფაქტობრივად, გაიშიფრა, ვინ აფინანსებდა ლგბტ ადამიანების პარადს – ეს იყო მამუკა ხაზარაძე და გიორგი კვირიკაშვილი. ესენი უჭერდნენ მხარს ამ სამარცხვინო ფაქტს. მაშინ მე მივმართე ბატონ ბიძინას: დროზე მიხედეთ ამათ-მეთქი. დღესაც მინდა მივმართო, თუ დროზე არ გადახედავს გარემოცვას, გამსახურდიასთან შედარებით, მას უფრო იოლად გაანაგურებენ, რადგან ზვიად გამსახურდია იყო ზვიად გამსახურდია – დამოუკიდებლობის გამომცხადებელი, ეროვნული მოღვაწე. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არის



12 გვ. →

# ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის

← 11 გვ.

ბიზნესმენი. ამით კი არ ვამცირებ და კი არ ვამბობ, რომ ივანიშვილი ვინმეზე ნაკლებია — არა! ის, რაც გასაკეთებელი იყო, ზვიადმა გააკეთა – დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებლობას ორჯერ ვერ გამოაცხადებ. თუმცა გამოცხადება ერთია და რეალიზება – მეორე.

ზვიად გამსახურდია დღეს კი არის აღიარებული ხალხში, მაგრამ მეტი პატივი სჭირდება მის სახელს ოფიციოზის დონეზე.

მე ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ზვიად გამსახურდია უნდა იქცეს ერთგვარ ფარად, კარგი გაგებით, ანუ უნდა მოხდეს ზვიად გამსახურდიას მონაპოვარის – დამოუკიდებლობის აქტის, რეფერენდუმის, კანონების, დღეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ საჭირო ფაქტების კონსტატირება და ქვეყნის შემდგომი განვითარების ქვაკუთხედად. თუ ამას გააკეთებს ივანიშვილი, ისეთივე სახელით შევა ისტორიაში, როგორითაც შევიდა ზვიად გამსახურდია.

გამსახურდიამ 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა. მას ივანიშვილი ხელახლა ვერ აღადგენს, მაგრამ შეუძლია, ეს აღდგენილი ჩაადუღაბოს და ისტორიაში შევიდეს, როგორც ზვიად გამსახურდიას დაწყებული გზის დამაგვირგვინებელი.

უფრო დეტალურად რომ გითხრათ:

– დამოუკიდებლობის დღე უნდა აღნიშნოს 9 აპრილს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

— ზვიად გამსახურდიას, როგორც პირველი პრეზიდენტის პატივგება უნდა მოხდეს უმაღლეს დონეზე.

— დაიწყოს გამოძიება არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების, არამედ 1991–92 წლების მოვლენების, მაშინ ნათლად გამოჩნდებიან საქართველოს მტრები, რომლებიც დღესაც ძირს უთხრიან ამ ქვეყანას.

დიახ, ის ე.წ. პუტჩისტები ებრძვიან დღეს ბიძინა ივანიშვილს, ეს ყაჩაღები, კანონიერი ხელისუფლების დამამხობლები.



თუკი ბიძინა ივანიშვილი ამას გააკეთებს, ეს იქნება ნაბიჯი, რომ ის დადგა ხალხის გვერდით. მაშინ ხალხიც დადგება ივანიშვილთან და მერე მას ვერავინ ვეღარ დაამარცხებს.

დღეს თითქმის ჩიხურ მდგომარეობაშია ბიძინა ივანიშვილი, თუმცა მას აქვს შესანიშნავი გამოსავალი. როგორც ზემოთაც გითხარით: მას შეუძლია გამოვიდეს ინიციატივით, რომ იმ უზენაეს საბჭოსთან ერთად, რომელიც დე-იურედ არსებობს, დანიშნოს 2020 წლის არჩევნები, ან თუნდაც ვადამდელი არჩევნები. ამით იმ მოღალატეებს, რომლებიც სააკაშვილის მხარეს დგანან დღეს და არიან ძველი პუტჩისტები, მიუჩენს საკადრის ადგილს.

ბიძინა ივანიშვილი თავისი ფინანსური შესაძლებლობებით ხალხთან ერთად უძლეველია. ბიძინა ივანიშვილი თავის ფინანსებთან ერთად, მაგრამ ხალხის გარეშე, ადვილი დასამარცხებელია.

არაერთხელ მითქვამს – მე არ მაქვს ძალა დღეს არსებული კორუმპირებული სისტემა სტრუქტურებში დავამარცხო, იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი ვიცი, სად რა ხდება. ჯერ კიდევ 3 წლის წინ თქვენს გაზეთს მე მივეცი ინტერვიუ, სადაც ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილის გვერდით შემოპარულ ნაცებს უნდათ ქვეყანა არიონ. იქიდან მოყოლებული და უფრო ადრიდანაც, მტრები ცდილობენ, ქვეყანა დაამარცხონ. ამიტომ, თუ ბიძინა ივანიშვილი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას გააჟღერებს, ის გამოვა კანონიერი ხელისუფლების აღმდგენი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატები აქ დაბრუნდებიან... საუბარია იმაზე, რომ უზენაესმა საბჭომ დანიშნოს არჩევნები, რითაც ეს მოღალატეებიც ჩამოშორდებიან და ახალი გუნდით, პატიოსანი ხალხით დაიწყებს ბატონი ბიძინა საქმის კეთებას.

მოკლედ, თუ ივანიშვილი აღადგენს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ეს ზვიად გამსახურდიას უკვდავყოფაზე მეტი იქნება პირადად ჩემთვის.

ის კიდევ ახალ შანსს გააჩენს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან დაახლოებისთვის.

ბევრი ამბობს და თანდათან ნათელი ხდება – რუსეთს ჩვენთან დიალოგი სურს. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? გასაღები აქაც კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა.

გავიმეორებ: თავად ბატონმა ბიძინამ რა შეფასებაც მისცა ზვიად გამსახურდიას, ეს არავის არ გაუკეთებია დღემდე.

სააკაშვილმა და რულოვსმა ბანდიტი უწოდეს ზვიად გამსახურდიას. ესენი იმოსებიან ახლა ზვიადის მანტიით და ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ისტორიული შეფასება მისცა ზვიად გამსახურდიას, ჩრდილშია. გამოიძიებს თუ არა ზვიადის გარდაცვალების გარემოებებს, ეს სხვა საკითხია, ჩემთვის მთავარი იყო და არის შეფასება და ივანიშვილმა ეს გააკეთა. ახლა შეფასების რეალიზებაა საჭირო. ანუ ზვიადის გზის, მის მიერ დასახული გეგმების რეალიზება და ამას თუ გააკეთებს, ზვიადზე არანაკლები ფასი ექნება მის როლს საქართველოს ისტორიაში.

ზვიად გამსახურდიამ დასახული მიზნები ბოლომდე ვერ მიიყვანა. ეს ფაქტია. ვერ განვახორციელეთ, რაც ჩაფიქრებული გვქონდა, თუმცა დაგვამხეს თავზე ყველაფერი, იქნება, ახლა დადგა ამ გეგმების განხორციელების დრო?

მოამზადა
**თამარ შველიძემ,**
**ირანდა კალანდაძემ**



# ყურადღება!



ნიუ-იორკის (აშშ) ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი „ბიბლია და საქართველო“ აცხადებს მსმენელთა რეგისტრაციას ბიბლიის შემსწავლელი ზოგადსაგანმანათლებლო ლექცია-სემინარების ერთთვიანი კურსის მოსმენაზე **2019 წლის 1 მაისიდან**. მსმენელებს მიეცემათ მადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანების შესაძლებლობა აღნიშნული ქართველოლოგიური ცენტრის საზოგადოებრივ გაერთიანებაში.

ლექცია-სემინარიული კურსის წამყვანი და ხელმძღვანელია ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა საზოგადოებრივი აკადემიის — „ქალდეას“ აკადემიკოსი, ქ-ნი **დენიზა სუმბაძე**.

ლექცია-სემინარები გაიმართება საქართველოს პარლამენტთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში (თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4).

**სწავლება ფასიანია.**

**დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 599 431 217.**

# საერთაშორისო კრიმინალი და საქართველო

საქართველო ტრანსნაციონალური კრიმინალის საფრთხის წინაშე რომ დადგებოდა, ამ თემაზე „საერთო გაზეთს“ წლების წინ წერდა. კრიმინალმა რომ იმატა, ამ უბედურებაში ლომის წილი „იმპორტირებულ“ დამნაშავეთა სამყაროს უდევს, რომელთა საქართველოში „იმპორტირებაშიც“ ასევე ლომის წილი ნაცრეჟიმს უდევს. როგორც წესი, მსოფლიო დამნაშავეთა სამყარო თურმე ცდილობს პოლიტიკურად ბოლომდე შეუმდგარ ქვეყნებში (რომელთა ბედი ჯერ კიდევ არ გარკვეული) საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ. ამ ე.წ. შეუმდგარ ქვეყნებში იგულისხმება პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, მათ შორის საქართველო. ამ საფრთხის არსებობის მიუხედავად „ყველაფრისმცოდნე“ სააკაშვილმა ქვეყნის კარი ფართოდ გაუღო ყველა ჯურის უცხოტომელს და ლამის საზღვარზევე ურიგებდა მათ საქართველოს მოქალაქეობას. ეს რომ უანგაროდ არ მოხდებოდა, ალბათ ეჭვი არავის ეპარება. როდესაც საქართველომ უვიზო რეჟიმი დააწესა ირანთან და ბრაზილიასთან. მაშინვე ითქვა, რომ სააკაშვილის ეს „ნოვაცია“ ნარკობიზნესს უკავშირდებოდა, არცერთ ამ ქვეყანასთან საერთო საზღვარი არ გვაქვს, მითუმეტეს ბრაზილია დედამიწის სხვა ნახევარ სფეროშია, ხომ საინტერესოა, რატომ უნდა შემოგვეღო ამ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმიო. სანამ ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებ, ცოტა რამ მსოფლიო გლობალიზაციაზე, რაც ჭკუასაკითხავი ხალხის აზრით, რეალურად მსოფლიო მაფიოზური მართვის ფორმაა და მეტი არაფერი.





მსოფლიოს დიდი ხანია მაფიოზური სტრუქტურები მართავენ, უბრალოდ ეს უფრო აშკარად მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე გამოჩნდა. მაფია იტალიური სიტყვაა, ორგანიზებულ დანაშაულობებს ნიშნავს, რამაც გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფოები მაფიოზებად ჩამოყალიბდნენ, მათი სპეცსამსახურები მაფიოზური სტრუქტურების მეშვეობით ახორციელებენ სახელმწიფო უწყებების მეთვალყურეობას და მათი ფუნქციონირების უსაფრთხოებას, ასე რომ, კანონიერი და უკანონო სტრუქტურები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ასე ვთქვათ, ერთობლივად სჯიან პლანეტის მოსახლეობას. ერთი სიტყვით, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ქვეყნების სპეცსამსახურები ხელმძღვანელობენ, საერთაშორისო დამნაშავეთა სამყაროს „საქმიანობა“ მთლიანად მათზეა დამოკიდებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლებიდან კრიმინალური ე.წ. საქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება დაიწყო, მათ პირთა ჯგუფი ხელმძღვანელობს, სადაც შედიან სპეცსამსახურის წარმომადგენელიც, ბიზნესმენიც, პოლიტიკოსიც, ე.წ. კანონიერი ქურდიც, ჩინოვნიკიც. როგორც ამბობენ, მათ ყველაფერი შეუძლიათ, უფრო მეტიც ყოველგვარ კანონზე მაღლა დგანან. კრიმინალური სამყაროს მართვას ყოველთვის ცდილობდნენო ქვეყნის პირველი პირები, ხანდახან წარმატებითაც, საბჭოთა კავშირში „კანონიერი ქურდის“ ორდენი იყო ჩამოყალიბებული, ამერიკაში განგსტერების მაფიოზური დაჯგუფებები, იაპონიაში „იაკუძა“, ჩინეთში „ტრიადა“ და ა.შ. თურმე სწორედ ამ „საძმოების“ მეშვეობით ახორციელებდნენ ხელისუფლებები ხალხის დამორჩილება-დაკაბალებას. პოლტიკური ცვლილებები დამნაშავეთა სამყაროს დიდად არ ანაღვლებს, ეს ფაქტობრივად მარადიული ინსტიტუტია თავისი ე.წ. კარგი ბიჭებით, რომლებსაც სერიოზული ავტორიტეტი გააჩნიათ. მათ სპეცსამსახურების „უანგარო“ დახმარებით, ოფშორულ ზონებში არსებულ ბანკებშიც შეუძლიათ ფინანსების გადამალვა. ამ ფინანსებში იგულისხმება როგორც საკუთარი მოსახლეობისთვის მოპარული ფული, ისე, ნარკობიზნესიდან, იარაღით ვაჭრობიდან თუ სხვა „შავი“ ბიზნესიდან შემოსული თანხები.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთანაც თითქმის ყველა ქვეყნის კრიმინალი ცდილობს საკუთარი „ნიშის“ დამკვიდრებას და გამოსდით კიდეც. უცხოტომელები, ისე, ყველაზე ვერ ვიტყვით რომ კრიმინალია, ცდილობენ თავიანთთვის რაღაცა ცალკე „კუნძულის“ მოწყობას, რომელიც დამცავი ბარიერებით იქნება შემოსაზღვრული. ახალი კონსტიტუციის მიღებამდეც ცდილობდნენ საქართველოს მოქალაქეებთან ფაქტიურ თუ ფიქტიურ ქორწინებაში შესვლას, რომ უძრავი ქონების ყიდვა გაუადვილდეთ, რისთვისაც საკმაოდ აქვთ მატერიალური სახსრები. ცდილობენ გარეგნულად დადებითი იმიჯის შექმნას, რამდენად გამოსდით ეს, ცალკე საკითხია, ეკონომიკურად მომძლავრებას. ამ ინვესტორებად მონათლულ უცხოელებს, აქ შეძენილ ობიექტებში დასასაქმებლად საკუთარი ქვეყნებიდან ჩამოყავთ მუშახელი, რომლებიც ე.წ. „გეტოებში“, ანუ კომპაქტურად ცხოვრობენ და იქ შიგნით რა ხდება, არავინ იცის. რა ზნეობისა და მორალის მატარებელი ხალხია ეს ერთი შეხედვით უწყინარი მუშახელი ვინმემ იცის, რამდენი მოთხოვნაც არ უნდა გააგზავნოს საქართველოს შს სამინისტრომ და უსაფრთხოების სამსახურმა ამ მუშახელის „ექსპორტიორ“ ქვეყნებში, რომ მათ შესახებ მოგვაწოდონ ინფორმაცია, არცერთი ქვეყნის სპეცსამსახური არ გვეტყვის სიმართლეს თავიანთ ჩამოყვანილ ხალხზე. ამ მიგრანტებმა უნილბოდაც რომ ჩაიდინონ დანაშაული, მოძებნა მაინც გაჭირდება, რადგან ურთულესია უცხოტომელ კრიმინალთა ვინაობისა და ადგილსამყოფელის დადგენა. როგორც ამბობენ, ასეთი „გეტოებია“ შექმნილი აჭარაში, კახეთში, დედაქალაქი ხომ საერთოდ ერთი დიდი აზიურ-აფრიკული ბაზარი გეგონება. ჩინელები თუ „გეტოებში“ ცხოვრობენ, თურქებს, ირანელებს, აფრიკელებს, პაკისტანელებს, ინდოელებს და ა.შ. სახლები აქვთ ნაქირავები და ჯგუფებად ცხოვრობენ. თავის დროზე, ადგილობრივი კრიმინალები ქვეყნიდან გავყარეთ, მაგრამ უარესი დაგვემართა. მათი ადგილის დასაკავებლად გააფთრებული ფარული ბრძოლა მიდის უცხოტომელ კრიმინალებში, რაც ადრეულ ეტაპზე თითქოს უსისხლო ჩანდა, მაგრამ როგორც პროგნოზირებდნენ, ეს პროცესი ჩვენც გადმოგვწვდა. ჩინელი, ინდოელი, პაკისტანელი, თურქი, აფრიკელი, ვიეტნამელი და სხვა ქვეყნების კრიმინალები თავიანთი ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით ყოველდღიურად ცდილობენ თავიანთი პოზიციების გამყარებას, რათა საქართველოს მომავლის გარკვევის შემდეგ, მყარად იდგნენ ფეხზეო, აცხადებდა ჩვენი ძველი რესპოდენტი დავით გაგნიძე. რამდენჯერ გახდნენ ჩინელების თავდასხმის ობიექტი ქართველები, ყველას მოგეხსენებათ. ამ სისხლიანი ანგარიშსწორების შედეგად საავადმყოფოში არაერთხელ მოხვდა. ნაჯახითა თუ წალდით ვინ გამოეკიდება და დაჩეხავს ადამიანს, თუ კრიმინალი არ არის? დადგა თუ არა უცხოტომელ „მარბიელთა“ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და რა სასჯელები განესაზღვრათ, ვერაფერს მოგახსენებთ.

ნაცრეჟიმის დროს მათთვის სასათბურე პირობების შექმნამ და ხელისგულზე ტარებამ, პიკს მიაღწია. ნაცები მართალია, ხელისუფლების სათავეში აღარ არიან, მაგრამ ნებისმიერი უცხოტომელის დასაცავად, ეს უკანასკნელი მთლად კაციჭამია რომ იყოს, ისეთ წიოკობას ასტეხავენ „ენჯეოშნიკებიან“-ჟურნალისტებიანად, ვაშინგტონში ისმის ამათი ხმა. საღად მოაზროვნე საზოგადოება ზუსტ დასკვნას აკეთებს, როცა ამბობს, უცხოტომელების პოზიციები სულ უფრო მყარდება, რადგან საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც საკმაოდ საეჭვო წყაროებიდან ფინანსდებიან, ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებს და უსაფრთხოების სამსახურს სახელი გაუტეხონ სახელი.

პროფესიონალი პოლიციელი **დავით გაგნიძე** ირანთან და ბრაზილიასთან უვიზო რეჟიმის დაწესებას, ნარკობიზნესს უკავშირებდა. ირანში მკაცრად ისჯება ნარკოტიკის მარტო შეძენა-შენახვა-რეალიზაცია კი არა, მოხმარებაც, მაგრამ ნარკოტრანზიტს ამ ქვეყნის ხელისუფლება ხელს არ უშლისო. ეს მოსაზრება ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან არაერთხელ დაუკავებიათ, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ირანიდან სომხეთის თუ Aზერბაიჯანის გავლით შემოსული ნარკოტიკის დიდი პარტიები. თუნდაც ლექსო ჭიკაიძის შს მინისტრობის დროს დაკავებული სამ ტონაზე მეტი თხევადი „ჰეროინი“, რომლის ოლიფად გასაღებასაც ცდილობდნენ მავანნი. კოლექტიური ნაცები ისე ქირქილებდნენ ჩვენი სამართალდამცავების მიერ გატარებულ ოპერატიულ ღონისძიებაზე, რომ უკვე აშკარა იყო, ამ სექტანტების პატრონებიდან ვიღაცას კუდზე დაადგეს ფეხი ქართველმა სამართალდამცავებმა და ამათაც „ზემოდან“ დავალება მიიღეს ელლიცინათ. ახლაც თითქმის დღე არ გავა, რომ ნარკოტიკის „იმპორტზე“ არ დააკავონ რომელიმე ირანელი. ქართველ ბავშვს, ლამის თვალები დასთხარა, სასტიკად სცემა და აწამა ვიღაცა აზერბაიჯანელმა, თუ ზუსტად მახსოვს, აზერბაიჯანის მოქალაქემ, არც მისი სს-ის პასუხისგების საკითხი დამდგარა, შეურაცხადად გამოაცხადეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ამ ბავშვის დასაცავად ხმა არ ამოუღიათ ე.წ. უფლებადამცველებს, ანუ კოლექტიურ გიგაურებს, რომლებიც სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღემდე მოთქვამენ, მერაბიშვილი „მეშოკჩამოცმული“ გაიყვანეს საკნიდანო. ვიღაცა ირანელმა ბათუმში არასრულწლოვანი გოგონა მოკლა, მთელი თბილისი იყო შეძრული როგორ გააუპატიურეს ერაყელმა მიგრანტებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი ბიჭი ვერაზე, დაისაჯა ვინმე ამ ამაზრზენი დანაშაულისთვის, არც ეს იცის ვინმემ. ამ ე.წ. უფლებადამცველებს თავს ელიტარებად რომ მიიჩნევენ, არც ამ შემთხვევაში ამოუღიათ ხმა. სამაგიეროდ ჟურნალისტად მონათლული ვინმე ავღან მუხთარლის დასაცავად, ლამის ტანსაცმლიდან ამოხტნენ და ეს „ობიექტური“ ტელევიზიებიც ლამის 24-საათიან რეჟიმში აჩვენებდნენ „აღა“ აფგანის თანამეცხედრის საპროტესტო გამოსვლა-კომენტარებს რა თქმა უნდა, კოლექტიური გიგაურების თანხლები თ. რატომღაც ამ „კამანდამ“ მიშა მშვენიერაძის, ვახუშტი მენაბდისა და მესამე მუშკეტერის ბენიძის თანხლებით, ბაქოში ალიევვის რეზიდენციასთან გაპროტესტებას ვინ ჩივის, აზერბაიჯანის საელჩოსთან ვერ გაბედა მისვლა. ამათ უფლებადაცვითი ისტერიკები შერჩევით ემართებათ, თანაც იმ ტერიტორიაზე, სადაც საფრთხე არ ემუქრებათ, ეს „სენსაციებს“ მოწყურებული ქართველი ე.წ. ჟურნალისტებიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ. პირადად მე, სრულად ვიზიარებ დავით გაგნიძის მოსაზრებას, რომ გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, სამოქალაქო სექტორის ხსენებული ნაწილი და მედიასაშუალებები ვერ ხვდებიან არაჯანსაღი აჟიოტაჟით ქვეყნის უსაფრთხოებას რომ უთხრიან ძირს. ძალიან კარგად ხვდებიან, მაგრამ მსუყე გრანტების გამო, ყველაფერს კადრულობენ.




კრიმინალის აღკვეთა ვერცერთმა ქვეყანამ ბოლომდე ვერ შესძლო, ეს ფაქტობრივად გამორიცხულია. აგერ უმაღლეს დონეზე განვითარებული ნორვეგიაში ერთმა კაცმა, კრიმინალმა ბრეივიკმა ათეულობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა, პოლიციას კი იარაღი არ ჰქონდა რომ შეეჩერებინა. ეს სისხლიანი ტრაგედია, ალბათ კლასიკური მაგალითია, როგორ გადადის ზედმეტად დემოკრატიულობა და ადამიანის უფლებების დაცვით აპელირება, სიბრიყვეში და ფაქტობრივად დანაშაულის წაქეზებაში.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# „მფატრავი სანდრა“ სხვა რაკურსით

## სპეცსამსახურების მიერ გაწვრთნილი ჯაშუში და „მეორე ნახევრების“ მოსამზადებელი კურსებგამოვლილი ქალბატონი, რომელიც ახლა ქვეყნის დაქცევის დაწყებას ზუგდიდიდან აპირებს



უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დასრულდა „მსოფლიო რევოლუციის ბელადი“ მიხეილი უკრაინაში ჩასასვლელად ემზადება. მისმა „ნამეგობრალმა“ პოროშენკომ დამარცხება აღიარა.

რას შეთავაზებს მას ახალი პრეზიდენტი სააკაშვილს და რამდენი ხანი გასტანს მათი მეგობრობა უცნობია...

მიხეილის „პირველი ნახევრის“ ზუგდიდის მერობის კანდიდატად წარდგენას ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი ინტერვიუში ეხმაურება.

„სამეგრელოში სანდრა რულოვსმა თუ გაიმარჯვა და ზუგდიდის მერიის კარი გაიღო, იცით, რა მოელის საქართველოს? – იგი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას დაიწყებს, დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოინაცვლებს და უკრაინულ მაიდანს მოაწყობს. მერე ნახეთ სნაიპერები შენობების თავზე... “ უკრაინული მედია ჯერ კიდევ ვიქტორ იუშენკოს პრეზიდენტობის პერიოდში აშუქებდა „მეორე ნახევრების“დახმარებით თითქმის ერთ პერიოდში როგორ გახდნენ პრეზიდენტები ვიქტორი და მიხეილი. მირონით დანათესავებულ პირველ პირებს ბევრი რამ ქონდათ საერთო. ძალაუფლების განუსაზღვრელი სიყვარული, დროსტარება ბიუჯეტის ხარჯზე, ქალებში ნავარდი. რუსი ოლიგარქების ლანძღვა და თან მათი მილიონებით „ჯიბის მოთბობა“. სპეცსამსახურების მიერ გამოზრდილი „პირველი ნახევრები“. ამერიკაში დაბადებულმა, გაზრდილმა, განათლებულმა „გოსდეპი“-ის მთელი იერარქია გავლილმა ქეთრინ ჩუმაჩენკომ მოახერხა უკრაინის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის ვიქტორ იუშჩენკოსთან რომანის გაბმა, ვიქტორი პირველ ცოლს გაეყარა და პრეზიდენტის სავარძელიც მალე მოირგო. როგორ მოხვდა ჩუმაჩენკოს ოჯახი ამერიკაში, რა გზა გაიარა ქეთრინმა სპეცსამსახურის გენეტიკურ პროგრამაში ჩართვიდან უკრაინის პირველ „ლედობამდე“ამის შესახებ უკრაინულ მედიაში უამრავი წერილი და ფრიად საინტერესო კომპეტენტური ანალიზები არსებობს არამარტო ჩუმაჩენკოს, სანდრა რულოვსის შესახებაც. როგორც ირკვევა



„ცოლებსაც“ ბევრი რამ ქონიათ საერთო. ქეთრინსაც მოუსინჯავს ძალები ჯანდაცვაში, მაგრამ იგი მალე ამხილეს საავადმყოფოს ასაშენებელი თანხის მითვისებაში და როგორც ჩანს „ექიმობა გადაიფიქრა“. „ქმრების გახედვნა“ ორივემ სამაგალითოდ შეძლო. თუმცა ვერ შეძლეს „დიდების“ შენარჩუნება, მართალია სანდრა „ბრძოლას განაგრძობს“თუმცა მალე გაუკრთება ბრძოლის ჟინი... აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოზე „უზომოდ შეყვარებული“ რულოვსი 2008 წლის ომის დროს რომელიც მისმა „მაღალმა“გააჩაღა და უკრაინიდან შემოტანილი ჩამოწერილი იარაღი შეაჩეჩა ჯარს თვითონ სასწრაფოდ გაარიდა შვილები სიტუაციას და ყირიმში პრეზიდენტის აპარტამენტში „შეაფარა“, რომელსაც ლამის ჯარი იცავდა მძიმე ტექნიკით. ომის პერიოდში მეორედაც ჩავიდა და შვილებს „დახედა“... მაშინ, არც ზუგდიდი ახსოვდა, არც ქართველების სოციალური მდგომარეობა, არც ის ახალგაზრდა ჯარისკაცები რომლებიც მისი მეუღლის ავანტიურას შეეწირენ და არც დახოცილი, განადგურებული მშვიდობიანი მოსახლეობა, რომლებიც უსახლკაროდ დარჩა... ქეთრინისგან განსხვავებით, უკრაინული წყაროს თუ დავუჯერებთ, სანდრა რულოვსი, დანიის ჟურნალ **Dagsblat** და სხვა ევროპული მედიის ინფორმაციით, აქტიურად და ენთუზიაზმით თანამშრომლობდა ნორვეგიის პორნოგრაფიულ ჟურნალთან. ის შენიშნეს და დააფასეს სპეცსამსახურებმა. ჭკვიანი ებრაელი გოგო შესაშური ენთუზიაზმით მუშაობდა მაღალი რანგის ჩინოვნიკებისგან საწოლის გავლით ინფორმაციის მიღებაზე.“ სანდრას შესაბამისი კურსებიც გაატარეს და უფრო „მაღალი“ რანგის სპეცსამსახურების თანამშრომელიც გახდა. ქუჩის მეძავიდან „წითელ ჯვრამდე“ გზა დამღლელი იქნებოდა... არადა რამოდენიმე წლის წინ „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში სანდრამ მსახიობის შესაშური ნიჭი გამოავლინა და კეთილშობილების ნიღაბაფარებულმა საყვედური გამოთქვა ხელისუფლების მიმართ, ოცი წლის განმავლობაში თურმე რამდენი სიკეთე ჰქონდა ქართველი ხალხისთვის და საქართველოსთვის გაკეთებული და სამაგიეროს მამის მიერ შეძენილი სახლის დაყადაღებით უხდიდნენ, თან წუხდა, მოულოდნელად დაწყებული გამოსახლების პროცესი როგორ იმოქმედებდა მის შვილზე და მასზეც, როგორი მძიმე ტრავმა მიადგებოდათ. გიორგი გაბუნია კი ამშვიდებდა, რომ სასამართლოს გამოსახლების დადგენილების მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ქონება დანაშაულებრივი გზითაა შეძენილიო. „ჩრდილოვან მმართველს“ დაავიწყდა, რომ მისი ნაძირალა, გარეწარი ქმრის მეთაურობით ხდებოდა სწორედ რვა წლის განმავლობაში ათიათასობით უდანაშაულო ადამიანების დაყაჩაღება. შემდეგ დაპატიმრება, შვილების თვალწინ მშობლების წამება, დამცირება და მშობლების თანდასწრებით ცრუ ჩვენების და ქონების მისაღებად, შვილების და მეუღლეების გაუპატიურება და დამცირება და უამრავი ბინძური მეთოდით ქართველი ხალხის დათრგუნვა და დაჩმორება.

სოციალურ ქსელში ექსლედის მისამართით არაერთი ბრალდება ვრცელდება. უმეტესობა მის სამედიცინო „მოღვაწეობას“ ეხება. სააკაშვილის ზეობის პერიოდში პროფესიონალი ექიმები ღუდუშაურის კლინიკიდანაც გამოაძევეს. 2010 წელს, როცა ღუდუშაურის კლინიკა გაიყიდა, ცნობილ პროფესორებს და საუკეთესო სპეციალისტებს იქიდან წამოსვლა მოუხდათ. ახალ მეპატრონესთანაც იყო დაპირისპირება, აღნიშნული ფაქტი იმ პერიოდში მედიის საშუალებითაც გაშუქდა. აი, რას წერს კლინიკის ერთ–ერთი თანამშრომელი: „ერთადერთი კაცი, ვინც გაპროტესტება გაბედა, გახლდათ პროფესორი მერაბ კილაძე, თუმცა, არაფერი შეცვლილა და კლინიკიდან ყველა წავიდა, უფრო სწორად, გაყარეს, თან ისეთი ბრძანებით, რომ კლინიკის პერიმეტრზე შემოსვლაც კი ეკრძალებოდათ. ამ კლინიკის მფლობელი გახდა ვინმე ქებურია... მოკლედ, გაიყიდა კლინიკა და გამოყარეს უმაგრესი სპეციალისტები! გაყიდვის შემდეგ „სტოსი“ მიჰყავდა სანდრას, დაქალობდა იმდროინდელ დირექტორებთან და რასაც ეტყოდა, იმას უსრულებდნენ... რაც კლინიკაში ხდებოდა, ეს უკვე დაუჯერებელია, იქ მოჰყავდათ ციხიდან ხალხი, ვითომ სამკურნალოდ, სინამდვილეში ცემით დალეწილები. ამის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლებოდა, არც კითხვის დასმა არავისთვის! შემოდიოდა სულ მცირე 50–70 ნიღბიანი სპეცრაზმელი ყოველდღე... და ყოველდღე იხოცებოდნენ პატიმრები, საკმაოდ ბლომად! ხშირად კი არა და, ყოველდღე იქ იყო ეს ქალბატონი, სანდრა რულოვსი, მოღიმარი და გაბრწყინებული. მაშინ მე კიდევ არ ვიცოდი მათი ვერაგობის შესახებ... მეგონა, მთავრობას ეს რომ გაეგო, არ აპატიებდნენ ციხის უფროსებს და მიხაროდა, იქნებ ეს ქალი დაინტერესდეს ამათი ამბებით-მეთქი. არა, პირიქით, მას უხაროდა, რამდენი მეტი ბიჭი კვდებოდა! ეს ქალი უფრო საშიშია, ვიდრე ზედაპირულად ჩანს... სადაც მივიდა, ისე გველურად დაშალა ყველაფერი, ვერავინ აზრზე ვერ მოვიდა. ეხლაც ეგეთებს იზამს. პატიმრები (ქალებიც და მამაკაცებიც) რომ ღუდუშაურის კლინიკის ხშირი „სტუმრები“ იყვნენ, მეც ვადასტურებ, თუმცა იქიდან დაბრუნებული „ნამკურნალები“ არავინ მინახავს. რასაკვირველია, იქ, სადაც სანდრა „გრიმიტობდა“, ფულის გათეთრებასაც ექნებოდა ადგილი და ბევრ სხვა უკანონო ქმედებასაც... ამბობენ, სანდრა ბავშვობაში წიგნის დაწერაზე ოცნებობდა, ზოგჯერ ოცნებები ხდება მან „დიდობაში“დაწერა წიგნი „იდეალისტის ნაამბობი. საქართველოში ინტეგრირებულმა და დისტანცირებულმა ლედიმ არსებული სიტუაცია ასე შეაფასა: „აქ ნაკლებად ფიქრობენ მომავალზე, ადამიანი იმას სჯერდება, რაც ეძლევა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სტატუსს. თუ ფული გაუჩნდათ, მაშინვე მოდურ ტანსაცმელსა და ძვირფას საათებს ყიდულობენ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ, მაგალითად, დაზიანებული ჭერი შეაკეთონ. ამგვარი გარეგნული სტატუსი არასტაბილურია, რადგან მის მიღმა მოსახლეობის უმეტესობას არაფერი აბადია. შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ ქართველებს უკიდურესობებს შორის უყვართ ბალანსირება. არიან ფატალისტურად მომართულნი, ხელგაშლილები და სტუმართმოყვარეები“. საინტერესოა „ლედის განმარტება“, რატომ ისწავლა მეგრული. მეგრული ისწავლა იმი-



ტომ, რომ ხუთ–მილიონიანი საქართველოს მოსახლეობის ერთ მეოთხედს მეგრელები შეადგენენ და ის თავის სოციალურ ვალდებულებად თვლის, იცოდეს ამ ხალხის ენა და მათ თავიანთ ენაზე ელაპარაკოს. არადა სანდრამ მეგრული და მედიცინა ერთ დონეზე იცის. თუმცა ნამდვილად განსწავლულია ხალხის დაბოლებასა და სისულელეების შთაგონებაში. ზუგდიდში ამომრჩევლების „სოციალური“ ყოფით შეწუხებული სანდრა არაფერს ამბობს როგორ ცხოვრობდა ექვსას მილიონიან ავლაბრის სასახლეში, როგორ ნებივრობდა შვიდ საპრეზიდენტო რეზიდენციაში. ვინ იხდიდა შენახვის ხარჯებს, რატომ უჯდებოდა ბიუჯეტს ათეულობით მილიონი ლარი მიშას კომფორტული მუშაობა და მისი ოჯახის დასვენება, სააკაშვილმა როდესაც ორი თვითმფრინავი შეიძინა და ორივეს საერთო ღირებულება სამას სამოცი მილიონი დოლარი იყო მაშინ რატომ არ ახსოვდა ზუგდიდში გაჭივრებული ადამიანების ყოფა? „სუპერპუმას“ ორი ვერტმფრენიც, ლარიანი იაგუარი უყიდა. სანდრას კომენტარი კი ასეთია, მიშა იმსახურებს ასეთ ავტომანქანას, რადგან საქართველოში ასეთი ჭკვიანი და ინტელექტუალური მამაკაცი არცთუ ბევრია! წიგნიდან გულისამაჩუყებელი ფაქტი ხდება ცნობილი: „მიშა დარწმუნებული იყო, რომ ის ერთადერთი იმედი გახლდათ ამ ქვეყნის, მეც დარწმუნებული ვიყავი“. ოჯახი რომ პირობითად ქვია ამ ორი აგენტის კავშირს, აღარც ესაა საიდუმლო და არც ის, რომ გაშიფრულ–გაბანძებული აგენტები ცუდად ამთავრებენ ცხოვრებას. თუმცა სულ სხვაა დავალება უკანასკნელი, რომელიც სანდრამ უნდა შეასრულოს. მიშა და სანდრა უკანასკნელ პოლიტიკურ კონცერტს მართავენ, ერთი – უკრაინაში „გუნდში“ (თუ ამღერეს და არ გადააგდეს) მეორე – ზუგდიდში სოლოს შეასრულებს ქართულ-მეგრულად. თუმცა, გედის სიმღერა უფრო გამოუვა!.. არადა, უკრაინის და საქართველოს ბედისწერის წიგნიც იქ, სადღაც აშშ–ში დაიწერა... სპეციალისტებმა სხვა სპეცსამსა-



რომლის ღირებულება ას მილიონ ლარს აღემატებოდა როცა „მაღალმა“ შეიძინა სანდრას თვალები ქონდა „დაფსილი“? ნუ, იახტით გრიალი და ოჯახით დასვენება, მანჰეტენზე სახლი რა მოსატანია. რაც მიშას სლოვენიელი და უკრაინელი მოდელი „ნაშების“ სასტუმროში ცხოვრებისა და საჩუქრების ფულს ბიუჯეტი იხდიდა, გერმანელი მასაჟისტის „დოქტორ დოტის“ მომსახურების საფასურსაც და ინსბრუკის კლინიკაში გასახდომი პროცედურების ხარჯებსაც. რაც მაგან საქართველოს ბიუჯეტიდან ფული მოიპარა, რაც ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები ატყავა, ზუგდიდის კი არა მთელი საქართველოს გაჭივრებულებს ეყოფოდათ... წიგნში ავტორი თავის ლუსტრაციას ახდენს და კიდევ ერთ საიდუმლოს გვიმხელს, რატომ რჩებოდა მისი ყურადღების მიღმა ქუჩაში თუ ციხე-კოლონიაში ჩახოცილი ადამიანები: „ხანდახან ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნის ბევრი მაცხოვრებელი არ იმსახურებს იცხოვროს ამ სამოთხეში, რადგან მათ არ ყოფნით სურვილი და გული თანამედროვე პროგრესული საქართველოს განვითარებისთვის“, – ეტყობა, რეჟიმს შეწირულები არ იმსახურებდნენ „სანდრას სამოთხეს“... პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, მიშას სიდედრმა 48000-დო-

ხურებისთვისაც ნაცნობი სქემით შეადგინეს გეგმა, როგორ ექციათ დამწყები დიპლომატი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ლიდერბელადად. გეგმის დიდი ნაწილის რეალიზაციისთვის გამოიყენეს შენიღბული აგენტი სანდრა რულოვსი, რომელსაც მიშას „შებმა“ და მის ცხოვრებაში აქტიურად შეღწევა დაევალა. სანდრამ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა... სანდრამ გააცნო მიხეილს თავის „შეფი“ რობერტ ხორტონი, რომელიც ესენგეს ქვეყნებს კურირებდა, ასევე კურირებდა „პეტერსონის“ ყველა პროექტს ესენგეს ქვეყნებში. ხორტონმა „პოპულარულ“ ენაზე აუხსნა ის პერსპექტივები, რაც მას გამოცდილ-განსწავლული სანდრას „კალთის ქვეშ“ ელოდა, მიხეილმა ყველაფერი გაიგო და მიხვდა, ამ თამაშში მას განუსაზღვრელი შესაძლებლობები ეძლეოდა ოკეანის გაღმელებისგან და ასევე, მათი მფარველობით მწვანე გაკაფული გზა დიდი პოლიტიკისკენ მის განკარგულებაში იქნებოდა... აღსანიშნავია, რომ „პეტერსონ ბელქნაფის“ ფირმა, ფაქტობრივად, შირმა იყო, სინამდვილეში კი სპეცსამსახურების დავალებით აწარმოებდა სნგ-ს დაზვერვას და დივერსიას. ასევე მჭიდრო კავშირში იყო „ნაციონალურ დემოკრატიულ ინსტიტუტთან“ (ენდიაი) ფერადი რევოლუციების შემოქმედთან და სულის ჩამდგმელთან. ასევე „ენდიაი“ ხელმძღვანელ მადლენ ოლბრაიტს ეხმარებოდა „პრობლემური ქვეყნების“ რევოლუციის და გადატრიალების მოსაწყობად შესაფერისი კადრების მოძიებაში. სარწმუნო წყაროს ცნობით, „კმარას“ „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზაციულ და იურიდიულ საკითხებს სანდრა უზრუნველყოფდა, ტექნიკური შემსრულებელი კი მიშა გახლდათ. მოძრაობა „კმარას“ გამოჩენა საქართველოში ქართულ საზოგადოებას ერთგვარად ყურადღების მიღმა დარჩა. არადა, ამ მოძრაობის გააქტიურება კარგად გათვლილი და აპრობირებული სცენარის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც „კმარას“ იდეოლოგები და დამფინანსებლები აქტიურად ახორციელებდნენ პოსტსაბჭოურ სივრცეში. მოძრაობის მიზანი თითქოს ხელისუფლების შეცვლა იყო დემოკრატიული გზით, ოღონდ არა არჩევნებით, არამედ მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, პიკეტით, გაფიცვით და ა.შ. ხელისუფლების ამ გზით შეცვლას მივყავართ სამოქალაქო დაპირისპირებამდე, რის შედეგადაც უნდა გაიმარჯვოს ძალამ, რომელიც მზად იქნება, საკუთარი ეროვნული ფასეულობების დათმობის ხარჯზე განახორციელოს მსოფლიოს გლობალური გაერთიანების ავტორთა სტრატეგიული მიზნები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. ამ საზოგადოებას საკმაო ხანი ამზადებდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის (გაიხსენეთ „ნაცმოძრაობის“ სარეკლამო საარჩევნო ლოზუნგი „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის“) ცნობილი ქველმოქმედი ჯორჯ სოროსი, რომლის აქტიური ქმედებები, შესაძლოა, უბრალოდ, ფასადზე გამოჩენისათვის იყოს გათვლილი. „ვარდების რევოლუციის“ სცენარში სწორედ მოძრაობა „კმარას“ ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, რადგან საზოგადოების შედარებით აპოლიტიკური, ამავე დროს, გამოუცდელი ნაწილის – ახალგაზრდობის მართვა ამ პროცესში გაცილებით ეფექტურია, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების უნიათობის წყალობით, ამბოხების განცდა ქართულ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ძალიან მაღალი იყო. ასევე სანდრა ორგანიზატორობდა უკრაინის ფერადი რევოლუციის ორგანიზაციულ საკითხებს. ვიქტორ იუშენკოს მეუღლის და სანდრას ფესვებიც ხომ აშშ-ი იყო გადახლართული. თუმცა მათი ფუნქციები და ამოცანები უკავშირდებოდა აღნიშნული ტრანსნაციონალური კომპანიის მიზნებს. ზუსტად აღნიშნული კომპანია უწევდა კოორ-





დინაციას უკრაინის და საქართველოს ფერად რევოლუციებს. სანდრა აკონტროლებდა მიშას და ის არგებდა მას გამოგონილ გმირულ ისტორიებს, „დემოკრატიისთვის და „თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდი“ კურატორების და ცოლის დავალებას პირნათლად ასრულებდა. 2003 წელს მათი დაჟინებული თხოვნით მყისვე ჩამოიშორა შევარდნაძე თავის გუნდთან ერთად... სანდრა იყო მიშას მამოძრავებელი ძალა, ის ზრუნავდა მიშას იმიჯზეც. აგრეთვე კონსულტაციებს გადიოდა დასავლელ პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან მათი ინტერესის საქართველოში, უკრაინაში და კავკასიაში გასატარებლად.

1999–2001 წლებში ანტიკორუფციული საგამოძიებო ჯგუფი აღნიშნავდა, რომ სააკაშვილის კლანის მიერ საქართველოდან გაზიდული მილიონები სხვადასხვა ფონდების გავლით უკან გრანტების სახით ბრუნდებოდა და ამ კლანის პოლიტიკურ ინტერესებს ხმარდებოდა. მოკვლეული დოკუმენტები პროკურატურასაც გადაეცა, მაგრამ მიხეილს სერიოზული გარანტიები ქონდა, აქვს და, ალბათ, ექნება... იურიდიული ფირმა „ჯი-სი-ჯი“ „პეტერსონ ბელქნაფის“ წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი იყო საქართველოში.

„პეტერსონ ბელქნაფის“ საინფორმაციო გვერდში აღარ არის სააკაშვილის გვარი. თუმცა იგი მაინც შემორჩენილია ერთ-ერთ გვერდზე, ფირმის დსთ-ის ქვეყნებსა და ფილიალებში საკონტაქტო პირების ჩამონათვალში. საკონტაქტო პირებად კი საქართველოში მიხეილ სააკაშვილი, კონსტანტინე რიჟინაშვილი და გიორგი ბაზღაძე წერია.

გლობალიზაცია მოწოდებულია, მოახდინოს მსოფლიოს უდიდესი ნაწილის ტრანსფორმაცია სტანდარტიზირებულ მოდელში, რომელსაც თავისი ცხოვრებისეული იდეალები, მასკულტურა და ფასეულობები გააჩნია. „მე მსურს, ამ იდეას მოვუპოვო საკმარისი მხარდამჭერები, რათა მისი განხორციელება რეალობაში შევძლო“, – აცხადებდა ჯორჯ სოროსი და საქართველოში იუგოსლავიის „ოტპორის“ პროტოტიპს აყალიბებს მოძრაობა „კმარას“ სახით. საქართველოში ნეონაცისტური იდეოლოგიისათვის შეიქმნა „ნაციონალური მოძრაობა“და მოძრაობა „კმარა“, სოლიდური დაფინანსებითა და მძლავრი საინფორმაციო რესურსებით. „კმარა“ „თავისუფალმა ზონამ“ ჩაანაცვლა, იგივე იდეოლოგიით, არასრულფასოვნების კომპლექსით „დატანჯული“ ახალგაზრდებით, რომლებიც სანდრას და მიშას სიყვარულით გვამებზე ივლიან. სწორედ ამ ხალხთან ერთად ცდილობს სანდრა ზუგდიდის „დაპყრობას“ ვფიქრობ, დროა, დაფიქრდნენ სანდრას წმინდანობით „შეპყრობილი“ ადამიანები. მიშა სანდრაა, სანდრა, რომელიც ჯაშუშურად შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და მოფარფატე ანგელოზის ნიღაბაფარებული უტიფრად ცდილობს, თავის უმანკოებაში დაარწმუნოს გონებადაბნელებული ადამიანების მცირე ჯგუფი, რათა გაიხანგრძლივოს „უფროსი ძმების“ სამსახური და ისედაც დაქცეული ქვეყანა ბოლომდე დააქციოს.

ქვეყნის დაქცევის დაწყებას კი, ამჯერად, ზუგდიდიდან აპირებენ სანდრა და მისი დესანტი, თუმცა, დარწმუნებული ვართ, გონიერებითა და გამჭრიახობით ცნობილი ზუგდიდელები მათ ამის საშუალებას არ მისცემენ.

„ნაცმოძრაობის“ ჯაშუშურ-დივერსიული ნარჩენების ფაფხურს ზუგდიდმა უნდა დაუსვას წერტილი.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

**P.S. ამასწინათ საინფორმაციო საშუალებებით გვამცნეს, რომ ზუგდიდში დააკავეს უკრაინელი ქალბატონი ათი მცირეწლოვანი ბავშვით, რომლებსაც ეს ქალბატონი თავის შვილებად ასაღებდა.**

**ხომ საინტერესოა, რატომ ამოარჩია „დისლოკაციის“ ადგილად მაინცდამაინც ზუგდიდი ამ ქალბატონმა და რატომ, რა განზრახვით ჩამოვიდა ათ ბავშვთან ერთად მაინცდამაინც ზუგდიდში, მაინცდამაინც ახლა, არჩევნების დროს?**

**ვის უნდა გაეწია ამ ქალბატონისთვის მასპინძლობა — შემთხვევით, უკრაინის „დიდ მეგობარს“ სანდრა რულოვსს ხომ არა?**

**ეს ის კითხვებია, რომელიც, იმედია, სამართალდამცავი ორგანოები სათანადო პასუხს გასცემენ.**

# ვლადიმერ ზელენსკის გამარჯვება და დეპრესიაში ჩავარდნილი გია ჯაჯანიძე

„ბინძურად ჩატარებული“, როგორც ევროპელმა და ამერიკელმა მიმომხილველებმა შეაფასეს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური, უკრაინელების ნაწილი ახლაც შიშობდა, მოქმედ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს რაიმე ახალი პროვოკაცია არ განეხორციელებინა, რათა ჩაეშალა არჩევნები და ამ გზით შეენარჩუნებინა პოსტი. ოპონენტები გამორიცხავდნენ პოროშენკოს ავანტურისტულ ქმედებებს. არგუმენტად ასახელებდნენ მოქმედი პრეზიდენტის კატასტროფულად დაბალ რეიტინგს, რაც



თვალნათლივ გამოჩნდა პირველ ტურში. სახელისუფლო რესურსების გამოყენების მიუხედავად, პოროშენკო გაჭირვებით, 16%-ით გავიდა მეორე ტურში. პოლიტოლოგების გაოცება გამოიწვია, როდესაც პოროშენკომ წარმატებულად შეაფასა მეორე ტურში გასვლა. თუმცა ტრაბახობდა, მაქვს გეგმა „პი“-ო. გულისხმობდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან მოლაპარაკებას, მაგრამ რუსმა კოლეგამ არათუ მასთან შეხვედრა, ტელეფონით საუბარიც არ ისურვა. „...არ მინდა მის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაო“, განაცხადა.

წინასაარჩევნო რიტორიკა პოროშენკოს ამჯერადაც არ შეუცვლია. „ჩემი კონკურენტი მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტიაო“, აცხადებდა. ასეთი განცხადებებით ჯერ კიდევ პირველ ტურში აიმხედრა მომხრეები. სავარაუდოდ, მის საარჩევნო შტაბში, სადაც გიორგი ვაშაძეც „მოღვაწეობდა“, მიიჩნევდნენ, რუსეთის მტრად წარმოჩენა, კონკურენტის კრემლთან კავშირში დადანაშაულება მომგებიანი იქნებოდა. ვაშაძე ხომ გვერდს ვერ აუვლიდა რუსეთს. განათავსეს ბილბორდები, სადაც პოროშენკო მრისხანე სახით თვალებში უყურებდა პუტინს. თუმცა „შედევრის“ შეცვლა მალე მოუხდათ რუსეთის მხარის პროტესტის გამო.

წყალწაღებულივით ეჭიდებოდა ხავსს პოროშენკო. „...კაცურად მოიქეცი და ყოველგვარი პირობების გარეშე მოდი დებატებზეო“, მიმართა კონკურენტ ვლადიმირ ზელენსკის. თვალშისაცემი გახდა ის გარემოება, რომ თავდაპირველად პოროშენკო ზელენსკის უდიერად იხსენიებდა. ოლიგარქ კოლომოისკის მარიონეტს, მასხარას უწოდებდა. დებატებში გამოწვევისას კი უკვე თქვენობით მიმართა.

პოროშენკო იძულებული გახდა, დათანხმებოდა. ექსპერტები გაოცებულები დარჩენნ, როგორ შეიძლებოდა, ან რა ფორმატით გაიმართებოდა სტადიონზე პრეზიდენტობის კანდიდატების დებატები. მედიატორობა ზელენსკიმ იულია ტიმოშენკოს შესთავაზა, მაგრამ მან უარი თქვა. მისი განცხადებით, მხარს არავის უჭერს არჩევნებზე და პირველი ტურის შედეგებს არალეგიტიმურად თვლის, რადგან მეორე ტურში ის უნდა გასულიყო.



დებატებამდე რამდენიმე დღით ადრე პოროშენკოს საარჩევნო შტაბმა გამოაქვეყნა სარეკლამო რგოლი, სადაც სატვირთო მანქანა ეჯახება ზელენსკის. „ყველას თავისი გზა აქვს“, ეწერა ტიტრებზე. ექსპერტებმა ფიზიკური განადგურების აშკარა მუქარად შეაფასეს სარეკლამო რგოლი, ამიტომ პოროშენკოს შტაბს მოუხდა რეკლამის გადაკეთება, მაგრამ ხინჯი მაინც დატოვა. უკრაინაში ღიად დაიწყეს საუბარი, რომ დებატების დროს შესაძლო იყო რაიმე პროვოკაციის განხორციელება. არ გამორიცხავდნენ ტერაქტსაც. ამის გამო ვლადიმირ ზელენსკის დაცვა გაუორმაგეს. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მოსალოდნელი ტერაქტის შიშს უცხოეთში, კერძოდ, გერმანელი ექსპერტებიც იზიარებდნენ. უკრაინელმა ჟურნალისტმა დიმიტრი გორდონმა ტელეინტერვიუს დროს ზელენსკის პირდაპირ უთხრა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად უარი ეთქვა სტადიონზე დებატებზე მისვლაზე. ზელენსკიმ სასტიკი უარი განაცხადა ამაზე. ამის შემდეგ გორდონმა შინაგან საქმეთა მინისტრს მოსთხოვა, არ დაეშვა დებატების გამართვა, რათა არ მომხდარიყო რაიმე სავალალო ექსცესები. მანამდე პოროშენკოს ტელევიზიაში მატვეი განაპოლსკიმ (ზურაბ ჟვანიას ქვისლმა, სააკაშვილისა და პოროშენკოს გულითადმა მეგობარმა) მიიწვია ზელენსკის ბავშვობის მეგობარი, რომელსაც უნდა დაედასტურებინა ზელენსკის ნარკომანობა, რაც პოროშენკოს გზას გაუხსნიდა. მეგობარს, თუნდაც იმას, ვინც გაწყენინა, ნორმალური ადამიანი არ დააბრალებს იმას, რაც არ ყოფილა. რესპონდენტის პასუხით, ზელენსკი ნარკომანი არ არისო, განაპოლსკი და პოროსენკოს მომხრეები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ.

დასრულდა არჩევნები, რომელიც ისტორიაში შევა, არა როგორც რომელიმე კანდიდატის არჩევა, არამედ არსებულის წინააღმდეგ მიცემული ხმებით. არჩევნების შედეგი პოროშენკოსთვის კატასტროფული აღმოჩნდა, მას მხოლოდ 24,52%-მა დაუჭირა მხარი. მისმა კონკურენტმა კი 73,15% მიიღო. პოროშენკომ დამარცხება არჩევნების დასრულებისთანავე აღიარა, თუმცა მისი განცხადებით, დიდ პოლიტიკაში რჩება.

ვლადიმირ ზელენსკის იცნობენ, როგორც მსახიობს და არა როგორც პოლიტიკოსს. იგი ერთ-ერთ სერიალში სამი წლის მანძილზე ასრულებდა პრეზიდეტის როლს. თუმცა კინო და რეალობა ერთმანეთისგან განსხვავდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07



**P.S. ვლადიმირ ზელენსკის უკრაინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, როგორც ამბობენ, გია ჯაჯანიძე, ლამის არის, დეპრესიაში ჩავარდეს.**

**— ეს რა ვქენი, როგორ არ ვიყარე კენჭი საქართველოს პრეზიდენტობაზე? მე რა, ზელენსკიზე ნაკლები შოუმენი ვარ თუ მასზე ნაკლები რეიტინგი მაქვს?**

**ასპროცენტიანი გავიმარჯვებდი...**

**სულელი ვარ, ეს რა შანსი გავუშვი ხელიდან.**

**არადა, რა ბრწყინვალე დუეტი იქნებოდა — მე — საქართველოს პრეზიდენტი, ზელენსკი — უკრაინის პრეზიდენტი — მსოფლიოს შევცვლიდით, მსოფლიოს შევაზანზარებდით...**

**ეხ, რა შეცდომა დავუშვი, — წუხს თურმე ბატონი გია და თავს იმით ინუგეშებს, რომ პრეზიდენტი თუ ვერ გახდა, 2020 წელს პარლამენტარი მაინც გახდება.**


## ლაუნჯი „ესკობარი“

ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999




**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით**
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983